



ეკონომისტი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591
2009

№3, 2009 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

დასახადები, გულატრული აღრიცხვა, უდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

აბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მენაბრე)

აბანონმდებლო სიხლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალო პასუხები



ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"

რევიზირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ გამოცემებში
"ქართულ რეფერატულ ჟურნალში"

და

სრულიად რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (VINITI) რეფერატულ გამოცემებში;

აღიარებულია რევიზირებულიად:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი
გრეგორ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა
კავკასიის უნივერსიტეტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ვორის უნივერსიტეტი
ახალციხის ინსტიტუტი
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი
ევროპული უნივერსიტეტი

THE MAGAZINE "AKHALI EKONOMISTI" (NEW ECONOMIST)

IS REVIEWED:

IN "GEORGIAN REVIEWED MAGAZINE" –
P.L.L.E. INSTITUTE OF TECHINFORM
AND

IN REVIEWED PUBLICATIONS OF SCIENTIFIC-SEARCH INSTITUTE
OF SCIENTIFIC-TECHNICAL INFORMATION OF RUSSIAN FEDERATION.

IS KNOWN AS REVIEW BY FOLLOWING ORGANIZATIONS:

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
TBILISI STATE UNIVERSITY OF ECONOMIC RELATIONS
GRIGOL ROBAQIDZE UNIVERSITY
TBILISI FREE UNIVERSITY, ESM BUSINESS SCHOOL;
CAUCASUS UNIVERSITY
SUKHUMI STATE UNIVERSITY
SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
GORI UNIVERSITY
AKHALTSIKHE INSTITUTE
SHOTA MESKHIA STATE INSTITUTE OF ZUGDIDI
EUROPEAN UNIVERSITY

საზღვაო უკონოშისტი

საზღვაო უკონოშისტი საქართველოს საერთაშორისო რეგულაციები და რეგისტრირებადი
საზღვაო უკონოშისტი-პრატეტიკული შურონალი №3(14), 2009

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:
ლ. ი. ლომიძე

38

სარედაქციო კოლეგია:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ჯანსუყიანი (მთავარი რედაქტორის მოადგილე);
მურთაზ ქვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, ზრდილ რედაქციის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი);

რაზაზ აბაშიძე (საქართველოს ეროვნული აკადემიის დ. გუგუშვილის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი);
რუსთომ ბერიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლის დირექტორი);
იურთ ანანიავაშვილი (ეკონომიკური მიმართულება);
გიორგი ბაგინაშვილი; (თამარ ბაგინაშვილი (ფინანსების მიმართულება);
თინა ბელაშვილი (სახელმძღვანელო ინსტიტუტის რექტორი);
სიმონ ბელაშვილი (ეკონომიკური სტატისტიკის მიმართულება);
რეზა ბეჟუღიანი (ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება);
გიორგი ბობაქარიანი (სოციალური მეცნიერებებისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულება);
ვასილ ბობაქარიანი (კვიციანი, უკრაინა);
ვლადიმირ მისტიანი (ბიზნესი, რუსეთის ფედერაცია);
ვლადიმერ ვინაი (ბერძენი, უკრაინა);
ვოთა ვაშაძე (გერმანიის უნივერსიტეტის რექტორი);
ნუგზარ თორდია (მარკეტინგის მიმართულება);
ბონა თუთუბიძე; **ვლადიმერ იხანიანი** (საზღვაო დაცვის კავალის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი);
რეზა პაპულიანი; **გიორგი პაპულიანი**; **ირაკლი კოჭიაშვილი** (საბანკო სექტორის მიმართულება);
პაბლატ კოჭიაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებების აკადემიის წევრი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი);
პირლან კონი (ბრაზილიელი, უკრაინა);
ოსტაპ მასურაშვილი; **ვალან მაგარანიანი** (კავალის უნივერსიტეტის ფიკს-პროსედენტო სამეცნიერო დარგში);
მურთაზ მარაძე (ინფორმაციის მიმართულება);
იაკობ მახინა; **ალექსანდრ მამაიაშვილი** (საქართველოს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკური თეორიის მიმართულება);
ედიტ

სარჯველაძე; **გიორგი სვირიტიანი**; **ავთანდილ სილაგაძე** (საქართველოს მეცნიერებების ეროვნული აკადემიის წევრი-კორესპონდენტი);
გიორგი ტყეშელაშვილი (ურთისა და სოციალური მიმართულება);
სვამირა ფიტილაძე; **სიმონ ქაბაძე** (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, **ESM** ბიზნესის სკოლის რექტორი);
რუსთომ მუსიხიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კუანძორის სოციალური ფაკულტეტის დეკანი);
ლარიონ შორობანაშვილი; **თამარა ვინაიანი** (ბიზნესის აღმოსავლეთის მიმართულება);
გიორგი შინაშვილი (თბილისის სახელმწიფო აკადემიისა და სემინარიის დექტორი);
ლარიონ ჩხეიძე (თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტისა და სამართლის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, მენეჯმენტის მიმართულება);
გიორგი ნიკიშვილი; **ლარიონ ნიქია** (საქართველოს მეცნიერებების ეროვნული აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პაბლატ გუგუშვილის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის რექტორი);
ავთანდილ რუსთომიანი (თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი);
პაბლატ ცოციანი; **ზაზა ცოციანი** (გორის უნივერსიტეტის რექტორი);
ნოდარ ხაჭავაძე (მარკეტინგის მიმართულება);
მანანა ხარაბაძე (სოციალური და ბიუჯეტური დარგების მიმართულება);
ედიტ ხარაბაძე (მარკეტინგის მიმართულება);
ავთანდილ ხაჭავაძე (დემოგრაფიის მიმართულება);
ლარიონ ჯალაღონი (სოფლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);
დიმიტრი ჯანაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი);
მამად ჯანაშვილი; **გიორგი ჯიბუტი**; **ქანელიანი** (მაგისტრიტი, პოლიანია)

ახალი უკონოშისტი

© უკონოშისტი „ახალი უკონოშისტი“, 2009 წ.,
© გამოცემის უფლება „ლომი“

წილი 5 ლარი

№3 (14), 2009 წელი

1

საქართველოს
საზღვაო მარშალთა
სამეცნიერო
სამსახური



akhali EKONOMISTI

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №3(14), 2009

Editor-in-Chief and Head of Editorial board:
LOID KARCHAVA

EDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors:

JAMLET JANJGAVA
(Deputy of Editor-in-Chief.)

MURTAZ KVIRKVAIA
(Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Faculty of G. Robakidze University)

RAMAZ ABESADZE (*Director of P. Gugushvili Econ-
omical Institute of Science Academy of Georgia*); **IURI
ANANIASHVILI** (*Econometrics*); **GIVI
GAMSAKHURDIA**; **TAMAR GAMSAKHURDIA**
(Finantions); **TINA GELASHVILI** (*Rector of
Akhalsikhe Institute*); **SIMON GELASHVILI** (*Statistis-
tics*); **REVAZ GVELESIANI** (*Economical politics*);
MICHAEL GOGATISHVILI (*political sciens and po-
litical filosofy*); **VASYL GORBACHUK** (*Kiev,
Ukraine*); **VLADIMIR GRIGOLAIA** (*Moscow, Russian
federation*); **WOLFGANG WENG** (*Berlin, Garmany*);
SHOTA VESHAPIDZE (*Rector of European Uni-
versity*); **NUGZAR TODUA** (*Marketings*); **GOCHA
TUTBERIDZE**; **ELDAR ISMAILOV** (*Director of
Azerbaijan Institute of Strategic Research for Caucasus
Development, President of Banks Association of
Azerbaijan*); **REVAZ KAKULIA**; **MERAB KAKULIA**;
IRAKLI KOVZANADZE (*banks*); **HARALD KUNZ**
(Brandenburg, Garmany); **SHALVA MACHAVARIANI**
(Vice-Prasident of Caucasus University in sciens field);
MURTAZ MAGRADZE; **JAKOB MESKHIA**; **ELGUJA
MEQVABISHVILI** (*Dean of Business fakulty of Econom-
ics and Law University of Georgia*); **ETER
SARJVELADZE**; **AVTANDIL SILAGADZE** (*Correspond-
ing member of Academy of Science of Georgia*); **MIRIAN**

TUKHASHVILI; **SLAVA FETELAVA**; **SIMON
QADAGIDZE** (*Rector of Tbilisi Free University, ESM
Business school*); **RUSUDAN KUTATELADZE** (*Dean of
Humanitarian- Social Faculty of Georgian Technical Uni-
versity*); **LARISA KORGANASHVILI**; **TEMUR
SHENGELIA** (*Business Administation*); **GIORGI
SHIKHASHVILI** (*Lecturer of Tbilisi Academy and Semi-
nary*); **LALI CHAGELISHVILI** (*Dean of Business and
Management Faculty of Tbilisi Economical Relations and
Law University*); **MICHAEL CHIKVILADZE**; **LEO
CHIKAVA** (*Rector of Paata Gugushvili
University, Corresponding-member of Academy of Science
of Georgia*); **AVTANDIL CHUTLASHVILI** (*Rector of
Tbilisi Economical Relations State University*); **AKAKI
TSOMAI**; **ZAZA TSOTNIASHVILI** (*Rector of Gori
University*); **NODAR KHADURI** (*macroeconomics*);
ELENE KHARABADZE (*accounting and audit*); **ETER
KHARAIISHVILI** (*microeconomics*); **REVAZ
KHAREBAVA**; **MERAB KHMALADZE**; **DAVID
JALAGONIA** (*Dean of Economics and Business Fac-
ulty of Suxumi State University*); **DIMITRI JAFARIDZE**
*(Dean of Business and legal Faculty of Ilia Chavchavadze
State University)*; **EMZAR JGERENAIA**; **MICHAEL
JIBUTI**; **JEANNETTE HOMMES** (*Maastricht, Nether-
lands*).

საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია

ბმეპნიკუმბი კიბრეწალო:
მარკეტინგი: ბუხეწაწ მანბუწაწმ
კორექტორა: ხათუნა ბურბუწაწმ
გეხანბ: ბიურბი ჯანბბუწაწმბილო

TECHNICAL PERSONS:
Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**
Corrections: **KHATUNA BURCHULADZE**
Design: **GEORGI JANIBEGASHVILI**

ბიწაწმბრბი: 0105, ხაქარბეწეწ, ბბილბიწ
ჯორჯიას ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-ბეწრბ: www.economisti.ge; www.loi.ge

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

რედაქტორის გვერდი

ეკო-დაიჯესტი

საქართველოს რეგიონები

მეცნიერება

ბიბიოლ თოღუა – ეკონომიკათმცოდნეობის ზოგადსოციოლოგიური და ღვთისმოსაობითი ასპექტები 13

აბატა კოლუაშვილი – აგროწარმოება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი 21

შოთა შუშაიძე – ბიზნესის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენცია 28

ირა ჯაფარიძე – ცოდნის შეფასების კომპიუტერული სისტემა და მისი გამოყენება ... 33

შალვა ბობიაშვილი – ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: თანაფარდობა კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის 38

დვი შონია, ნინო ძეგზანია – კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM) და მისი ზემოქმედება ფირმის მომგებიანობაზე 42

მასტარინი ვარშალომიძე – ეროკავშირი – ღრმა ეკონომიკური რეგრესის წინაშე 49

ლიმ ძარჩავა – წერილობითი კომუნიკაცია ბიზნესში 54

დავით შაბუთიშვილი – საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირების მნიშვნელობა ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის 58

GENADI MESKHIA – Energosaving Must Returned Intu Preferencial Direction of State Energopolitics 66

ДАЛИ ЧАГЕЛИШВИЛИ – Позиционирование экономики Грузии в условиях глобализации 70

ФАИНА ШУЛЕНБЛЕВА – Формирование системы освоения инноваций в аграрном секторе экономики Казахстана 75

უცხოეთის ეკონომიკური სიანხლენი. 80

რეგენზიები ახალ წიგნებსზე

პროფესორ ვლადიმერ პაპავას ფუნდამენტური გეოკოლოგიური გამოკვლევა „ცენტრალური კავკასიის“ შესახებ 82

ახალი საინტერესო და პრაქტიკული წიგნის შესახებ. 83

„საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა“ 84

სახარბუგლო წიგნი 85

წერილები რედაქციას

შოთა მისხიას ზუბაიდის სახელმწიფო ინსტიტუტი 86

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 87

ახალი ეკონომიკა

CONTENTS



| | |
|----------------|---|
| EDITORIAL PAGE | 5 |
|----------------|---|

ECO-DIGEST

REGIONS OF GEORGIA

SCIENCE

| | |
|---|----|
| GRIGOL TODUA – ECONOMICAL KNOWLEDGE GENERAL SOCIOLOGICAL AND DEVOTIONAL ASPECTS | 13 |
| PAATA KOGUASHVILI – AGROFORMATION AND REGULATIVE ROLE OF THE STATE | 21 |
| SHOTA VESHAPIDZE – MODERN TENDENCY OF BUSINESS GLOBALIZATION | 28 |
| TSIRAJAPIASHVILI – COMPUTER SYSTEM OF KNOWLEDGE GRADING AND ITS USE | 33 |
| SHALVA GOGIASHVILI – THE ECONOMIC ORDER POLICY: EQUILIBRIUM OF THE COMPETITION ORDER AND THE SOCIAL ORDER | 38 |
| DEVI SHONIA, NINO QETSBAIA – MANAGEMENT ON INTERRELATION WITH CLIENT (GRM) AND ITS INFLUENCE ON WINNING FIRMS | 42 |
| EKATERINE VARSHALOMIDZE – EUROPEAN UNION – FACING A DEEP ECONOMIC RECESSION | 49 |
| LOID KARCHAVA – WRITTEN COMMUNICATION IN BUSINESS | 54 |
| DAVID SHABURISHVILI – EXPORT OF GEORGIA AND IMPORTANCE OF ITS STIMULATION FOR FAST ECONOMIC GROWTH | 58 |
| GENADI MESKHIA – ENERGY SAVING MUST RETURNED INTO PREFERENTIAL DIRECTION OF STATE ENERGOPOLITICS | 66 |
| LALI CHAGELISHVILI – POSITIONING THE ECONOMY OF GEORGIA IN CONDITIONS OF GLOBALIZATION | 70 |
| FAYNASHULENBAYEVA – FORMATION OF SYSTEM OF INNOVATIONS DEVELOPMENT IN AGRICULTURE KAZAKHSTAN | 75 |

FOREIGN ECONOMIC NEWS

REVIEWS ABOUT NEW BOOKS

| | |
|---|----|
| FUNDAMENTAL GEOPOLITICAL RESEARCH ABOUT "CENTRAL CAUCASUS" BY PROFESSOR VLADIMIR PAPA | 82 |
| ABOUT NEW, PRACTICAL AND INTERESTING BOOK | 83 |
| GEORGIA - THE COUNTRY OF VINE AND WHEAT | 84 |
| USEFUL BOOK | 85 |

LETTERS TO EDITOR

| | |
|--|----|
| SHOTA MESKHIA STATE INSTITUTE OF ZUGDIDI | 86 |
| SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY | 87 |

საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი

კვლავაც ახლის ძიებაში

AGAIN SEARCHING SOMTHING NEW

ცნობილია, რომ თუ გინდა დროს არ ჩამორჩე, მუდამ ახლის ძიებაში უნდა იყო. ამას მოწმობს მეცნიერული კვლევები და პრაქტიკა. ჩვენც ასე ვაკეთებთ.

გრძელდება ჩვენი ჟურნალის რევერტირებულად ოფიციალური აღიარება წამყვანი უმაღლესსაწვადელებების მიერ. ამ ნომერში შ მოგვემატა ბათუმის „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და „შოთა მესხიას ჯუჯუდის სახელმწიფო ინსტიტუტი“. შემდეგ ნომერში კიდევ შევთავაზებთ. სიახლეებია ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაშიც.

განვახდლოთ ინტერვიუს პრაქტიკა მოქმედ სახელმწიფო მოხელეებთან, რომელიც სისტემატურ ხასიათს მიიღებს ყველა დონეზე. სიახლეები გვაქვს რუბრიკების მხრივაც. განვახდლო რუბრიკა „ემო-დანიჰემიტი“ და „უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები“.

ვაგრძელებთ და კვლავაც გავაგრძელებთ ახალი ეკონომიკური წიგნების რევიზირებას და მკითხველისათვის წარდგენას. ამ მხრივ ყველა საინტერესო ეკონომიკური ლიტერატურისთვის ყოველთვის დაუეთმოთ გარკვეულ ადგილს.

უკვე დაიწყო უცხოეთიანი და უცხოეთიდან შემოსული სტატიების გამოქვეყნება.

არის მრავალი ხანაჟიკი, რომლის წინასწარ განხილვებაც მზანშეწონილად არ მიგვანია, მაგრამ ჩვენი ჟურნალის ერთგულ მკითხველს ნამდვილად გაახარებს,

ლოიდ ქარჩავა
29.09.09

It's well known that if you don't want to fall behind the time, you must always search something new. Scientific researches and practices show the same. And we also do the same.

Official acknowledgement of our journal by leader high schools already continues. In this edition, Batumi "SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY" and "SHOTA MESKHIA STATE INSTITUTE OF ZUGDIDI" have joined our journal. In the next edition others will also join us.

Besides, there are news in the editorial administration of our journal.

We have restored practise of interviews with the state employees, and this tradition will continue in the future. We have new topics and we've already renewed "ECO-DIGEST" and "ECONOMICAL NEWS FROM ABROAD."

What's more, we review and present new economical books. So, we'll always have place for interesting economical literature.

We have already started to publish foreign papers and articles from abroad.

We have many plans for the future and of course, announcing everything is not suitable, but our trusty reader will be pleased.

LOID KARCHAVA

29.09.09

სახელმწიფო ბიბლიოთეკა



მტრენული ბანკი კლიენტებს

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ (სებ) ახალი კანონის თანახმად, რომელიც 2009 წლის 1 დეკემბრიდან შედის ძალაში, გათვალისწინებულია სებ-თან საფინანსო სექტორის მფლობელების სააგენტოს შერწყმა. ეს ცვლილება ემსახურება სებ-ის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, რამაც თავის მხრივ უნდა გააუმჯობესოს, ეფექტის როგორც საფინანსო, ასევე სადაზღვევო ბაზრის რეგულირება.

სამართმევლო თხილის წარმოების ბაზარზე ლიდერთა შორისაა

თხილის წარმოების ბაზარზე შარშანდელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. წლეუანდელი მთხიავალი საქართველოში 20 ათას ტონას შეადგენს და ფახიც შარშანდელთან შედარებით მაღალია. სეზონის დასაწყისისათვის 1 კგ გარსეული თხილი 4,2 აშშ დოლარი ღირდა, შემდეგ კი 5,6 აშშ დოლარამდე მოიმატა. ეარაუდობენ, რომ გარსეული თხილის ფასი წლეულს 6,6 აშშ დოლარს მიაღწევს, რადგან თურქეთში მთხიავალი შედარებით ნაკლებია. ამ ტიპზე მოსახლეობისაგან 1 კგ გასარჩევ თხილს 3-3,30 დარად იძენენ. თურქეთის, იტალიისა და აშშ-ს შემდეგ, საქართველო მსოფლიოში თხილის რიგით მეოთხე მწარმოებელია.

თბილისში ყრანბული სასტუმრომის კონკრეტი შემოღობ

თბილისში ყრანბული სასტუმროების ბრენდი შემოღობს. Citadines-ი დედაქალაქში პირველ სასტუმროს წლეულს სოგებშიც გახსნის. 66 ნომრისანი სასტუმრო თბილისის მთავარ მოედანზე, თაყისუფლების №4-ში განთავსდება. კომპანია სასტუმროების ქსელს საყრანბულისა და კომპანიაში ფლობს და ქსელის შექმნას საქართველოშიც გატეებს.

სადაზღვევო კომპანიათა კონკრეტი

სადაზღვევო კომპანიათა კონკრეტი AIG ევროპა S.A. საქართველოს ფილიალზე განაცხადა, რომ 2009

წლის 14 სექტემბრიდან საქმიანობას განაგრძობს ახალი სახელით.

კომპანიათა ახალი სრული სახელწოდებაა: სადაზღვევო კომპანია ჩარტის ევროპა S.A. საქართველოს ფილიალი - ქართულ ენაზე Insurance Company Chartis Europe S.A. Georgia Branch - ინგლისურ ენაზე. კომპანიათა შემოკლებული სახელწოდებაა - „ჩარტის საქართველო“ /Chartis Georgia/. განცხადების თანახმად კომპანიათა საფოსტო მისამართი, საკონტაქტო და საბანკო მონაცემები არ შეცვლილა.

მომხდური ოპერატორების ბაზარზე კონკრეტი იხრება

კანადურმა კომპანიათა „ალტა ვეიკმა“ გამოთქვა სურვილი შემოედეს საქართველოში. უფრო მეტიც, მათ უკვე ლიცენზიის მისაღებად მიმართეს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. მობილური სისშირის ლიცენზიის მისაღებად გათვალისწინებული აუქციონის გამართვა 2009 წლის 23 ოქტომბერს.

მოხედვით იმისა რომ ამ ეტაპზე საქართველოში მობილური ოპერირების ბაზარი, სადაც 3 კომპანია მოღვაწეობს, გაჯერებულია, ახალი მოთამაშის გამოჩენა ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რითაც საბოლოო ჯამში მოგებული დარჩება მომხმარებელი.

სინხლე საკრედიტო მომსახურების ბაზარზე

„კრედიტინფო საქართველო“ ნერგავს ახალ პროდუქტს „სემი კრედიტინფო“. ყველა მსურველს შეუძლება ინტერნეტის საშუალებით, ბანკების შუამავლობის გარეშე, საკუთარი მონაცემების ნებისმიერ დროს ნახვა. ამასთან, მიმდინარე წლის ბოლომდე დაინერგება „სქორინგს“ სისტემა, რომელიც თითოეული მსესხებლის შესახებ საჭმის დეტალური ანალიზის, ასევე რეიტინგების გამოგვეყენების შესაძლებლობას იძლევა. „კრედიტინფო საქართველო“ კლიენტთა შორისაა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საღიხინგო, სავაჭრო, ნავთობპროდუქტების რეალიზატორი კომპანიათა. აქ სვედება ინფორმაციები ვადაგადაცილებული სესხების

საქართველოში

შესახებ. ამა წლის 2 სექტემბრისათვის 245.000 უარყოფითი და 855.900 დადებითი ჩანაწერია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წლეულს იგლის-აგისტროში უარყოფითი ჩანაწერების რაოდენობა 48.844-ით გაიზარდა. „ერეკლიტინფო საქართველო“ 2005 წლიდან ფუნქციონირებს. ორგანიზაცია „ერეკლიტინფო ჯგუფმა“ „თიბისი ბანკთან“, „საქართველოს ბანკთან“, „პროსტრუქტ ბანკთან“ და „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიუროსთან“ ერთობლივად დააფუძნა.

ციტრუსის ხაზორნი ბაღაზიშვილის ტარიფები იაშფაზა

უკრაინული მხარის განცხადებით ციტრუსის ხაზორნი გადახიდვის ტარიფები შემცირდება. ერთ ვაგონის გადახიდვის ტარიფები 3.500 დოლარიდან 2.350 დოლარამდე მოიკლებს. რაც შეეხება განბაეუბას, უკრაინის საბაჟომ შარშან, ციტრუსის ხეხონის დაწვეების წინ, საბაჟო გადასახადი ტონაზე 800 დოლარამდე გაზარდა, მოგვიანებით კი ტარიფი ძველ ნიშნულს, 400 დოლარს დაუბრუნა.

საპარტამენტოს 4 ძალაძში 5 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იმშენება

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში შეიქმნება. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ქუთაისში შეიქმნება, ხოლო თითო-თითო თბილისში, ბათუმსა და ფოთში. ამ დროისათვის ფოთში თიზ-ს არაბული „რაკი-ა“ აშენებს, ქუთაისში – ევოპტური კომპანია „ფრეშო“. ასევე ქუთაისში, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გეგმავს საქმიანობას ჩინური კომპანია „ჰანგლი ინდასტრი“, რომელიც ავეჯისა და ქეის ვადამსაშუალებელი ქარხნების აგებას აპირებს.

„ნაბუქოს“ ბაზსაღმნი - რუსეთის მონეოპოლიის დახასრული

თურქეთის ავსტრიის, უნგრეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებმა მიმდინარე წლის 13 ივლისს ანკარაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ნაბუქოს“ გაზსადენის მშენებლობის შესახებ. აღნიშნული გაზსადენით უნდა მოხდეს კასპიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში მოპოვებული გაზის საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპაში ტრანსპორტირება. უცხოური

საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად „ნაბუქოს“ პროექტში ჩართვის სურველი აქვს სომხეთსაც, თუმცა როგორც ევროკომისარმა პიებალგმა განაცხადა „ნაბუქოს“ მარშრუტი არ შეიცვლება, შესაბამისად მასში სომხეთი არ შედის.

მიღწეული შეთანხმების თანახმად „ნაბუქოს“ პროექტის მშენებლობა დაიწყება 2011 წლისათვის, ხოლო გაზის ტრანსპორტირება კი უნდა მოხდეს 2014 წლიდან. წინასწარი ინფორმაციით გაზსადენის საწყისი წლიური გამტარუნარიანობა 11,5 მლრდ კუბმ იქნება, შემდეგ კი 31 მლრდ კუბ/მ-ს მიაღწევს. პროექტის ღირებულება 7,9 მლრდ ევროთია შეფასებული, რომლის დაფინანსებაზე თანხმობა განაცხადა ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „ნაბუქოს“ პროექტის ფარგლებში გაზის გაყიდვის ხელშეკრულება წლის ბოლომდე უნდა გაფორმდეს და მილი პირველ ეტაპზე აზერბაიჯანული გაზით უნდა შეივსოს, რასაც შემდეგ თუქმენული და ყაზახური გაზიც დაემატება. ამ მხრივ საგულისხმოა თურქმენეთის პრეზიდენტის გურბენგულ ბერდიმუხამედოვის განცხადება, რომელიც მან თურქმენული გაზის ახალი დივერსიფიკაციული მარშრუტის დამტკიცებისას განაცხადა – ჩვენ გეპაქვს გაზის საქმარისი მარაგი ისეთი უმსხვილეხი პროექტის მოსამარაგებლად, როგორც „ნაბუქოა“.

საბოლოოდ „ნაბუქოს“ პროექტის რეალიზაცია ევროპას მისცემს საშუალებას ჰქონდეს ალტერნატიული არჩევანის გაკეთების საშუალება დღეისათვის რუსეთის მიერ მონოპოლიზირებულ ბაზარზე.

მ(ონეო)მ(ონ)პ(ო)რ ბანკითარმვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი კვანს

2009 წლის 26 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ნიკა გელაურმა ეკონომიკური განვითარების მინისტრად წარადგინა საქართველოს ელჩი ესპანეთში - ზურაბ პოლოდიკაშვილი. პრემიერის განმარტებით, ზურაბ პოლოდიკაშვილს, რომელსაც დიპლომატიურ გამოცდილებასთან ერთად აქვს საბანკო სექტორში მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება, შეუძლია იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც ზოგადად საქართველოს ეკონომიკაშია დაგროვილი /პრევატიზაცია, ინვესტიციების მოზიდვა, უცხოური კაპიტალის

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა



ეკონ-დაიჯესტი

შემოქმედა ქვეყანაში, ინვესტირებთან ურთიერთობა, ადგილებზე კერძო სექტორის პრობლემების გადაწყვეტა.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციის შემოღებისა გრძელდება

მთელი მსოფლიო, და მათ შორის საქართველოც, სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ძნელი მისახედრი არაა, რომ ეს პრობლემა გლობალური კრიზისია. ამ ფონზე კი განსაკუთრებით სახიამოუნია იმის აღნიშვნა, რომ ინვესტიციები საქართველოში არ წყდება. ბოლო დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინვესტიცია ევროპტურ-ქართულმა გაერთიანებამ განახორციელა. ამ კავშირში განაცხადა, რომ 3.6 მილიარდი დოლარის ჩადებას აპირებს თანამედროვე ტექნიკის შესაძენად, ხოლო 100 მილიონის - ახალი, თავისუფალი ინფრასტრუქტურული ხონის შესაქმნელად.

საშვენივლო სექტორში გაზრდის ტენდენცია შეინახება

საქართველოს საშენებლო სექტორში ბრუნვამ 2009 წლის II კვარტალში 219,7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 56%-ით აღემატება I კვარტლის მსხვერპლს. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, საშენებლო სექტორმა ამ პერიოდში 289,5 მლნ ლარის პროდუქცია გამოუშვა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი მიმდინარე წლის I კვარტალში 185,9 მლნ ლარს არ აღემატებოდა.

ასევე გაიზარდა როგორც დასაქმებულთა რაოდენობა 22 754 ადამიანიდან 27 040 ადამიანამდე, ისე დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 594,5 ლარიდან 730,6 ლარამდე.
ინვესტიციების სფეროში უპირაძი ძონების სექტორი ღირებოდა

საქართველოში 2009 წლის II კვარტალში 92,179 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც შარშანდელ იმავე დროსთან შედარებით 6,5-ჯერ არის შემცირებული. უპირაძი ქონების სექტორის ბაზრის წილი მოდიან ინვესტიციებში 62,6%-ია და 57,758 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე საბანკო სექტორია 24,57 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით. მესამე ადგილი 3,649 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით მშენებლობას უკავია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობა-თევზჭერას აქ ინვესტიციების მოცულობა სულ 413,3 ათასი აშშ დოლარია, მაშინ როდესაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში 10,938 მლნ აშშ დოლარს აღემატებოდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შემოსული ინვესტიციების 79,8% არაბთა გაერთიანებულ საემიროებზე მოდის.

ეკონ-დაიჯესტი ქართულ წყაროებზე, - ეურნალ-გაზეთებზე, - დაყრდნობით მოამზადა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და საბარათლის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა თანამა შემთავაძამ

ახალი ეკონომიკა

ინტერვიუ

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის
მოადგილესთან ეკონომიკურ საკითხებში
სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში
ბატონ ალექსანდრე ახვლედიანთან



ჩვენი ჟურნალის რედაქციას გადაწყვეტილი აქვს საქართველოს ყველა რეგიონის ხელმძღვანელობას შესხედეს და მიმდინარე პრობლემებსა და მიღწევებზე ინტერვიუები აიღოს თითოეული რეგიონული თუ რაიონული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისგან. ამ მიზნით ჟურნალის მთავარი რედაქტორი ბატონი ლეონი ტარნაშა სპეციალური ვიზიტით გახვდათ სამეგრელოს რეგიონში და ინტერვიუ ჩამოართვა ბატონ ალექსანდრე ახვლედიანს - საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეს ეკონომიკურ საკითხებში სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში.

რედაქცია

რეგიონის მკოპლი აღწერა

მთლიანი ფართობი - 7.5 ათასი კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობის რაოდენობა - 468 ათასი კაცი; რეგიონში შედის - 8 მუნიციპალიტეტი (ზუგდიდის, წაღენჯიხის, მესტიის, ხობის, სენსკის, ჩხორწყუის, მარტვილისა და აბაშის რაიონები); 8 - ქალაქი (ზუგდიდი, წაღენჯიხა, ხობი, ფოთი, სენსკი, მარტვილი, ჯეიარი და აბაშა), მათ შორის ერთი განსაკუთრებული სტატუსის მქონე (ქ. ფოთი); 2 - დაბა (მესტია და ჩხორწყუე); 138 სოფელი (საკრებულო). 488-სოფლის დასახლებული პუნქტი.

- ბატონო ალექსანდრე, ჟურნალ "ახალი ეკონომისტი" მიზანია თავის მკითხველის გაცნობს საქართველოს თითოეულ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი საკომუნიკაციო საშუალებების წყალობით დედაქალაქში უფრო ადვილია ანალოგიური ინფორმაციის დროულად მოკოვება. რეგიონები მაინც უფრო გვიან ეზიარებიან ცივილიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, ვესტუმროთ თითოეულ რეგიონს, ქალაქს, რაიონსა და ზოგიერთ სოფელსაც კი, რათა უშუალოდ მათგან მივიღოთ პასუხები მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებზე, მიღწევებზეც და არსებულ პრობლემებზეც. ჩვენ გადავწყვიტეთ სამეგრელოდან დაგვეწყოთ ეს და ამიტომაც შეგაწუხეთ დღეს.

ბატონო ალექსანდრე, რამდენი საწარმო ფუნქციონირებს დღესათვის რეგიონში?

- მეწარმე სუბიექტების რაოდენობა სამეგრელოს რეგიონში 2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 22 519 ერთეულს შეადგენს. აქვე ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ თანმიმდევრული, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად რეგიონში ეკონომიკური აგენტების რაოდენობა 2004 წლიდან (7 483 ერთეული) 3-ჯერ გაიზარდა.

- რამდენია დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანად რეგიონში?

- 2008 წელს რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 209.9 ათას კაცს, აქედან დასაქმებული იყო 185.2 ათასი კაცი, მათ შორის დაქირავებულები შეადგენდა 42.3 ათას კაცს, თვითდასაქმებულები 142.8 ათას კაცს.

- როგორია ბოლო ხუთი წლის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები რეგიონში?

- რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ბოლო ხუთი წლის მიხედვით ასეთია (იხ. ცხრილი):



| N | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|--|-------|-------|-------|-------|-------|
| 1 სამკვარში სფეროს ბრუნვა (მლნ. ლარი) | 339.7 | 471.8 | 470.5 | 637.2 | 669.4 |
| 2 სამკვარში სფეროს პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) | 222.1 | 294.0 | 352.2 | 516.9 | 395.7 |
| 3 მრეწველობის პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) | 30.4 | 69.4 | 62.8 | 75.2 | - |
| 4 სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მლნ. ლარი) | 209.0 | 246.9 | 278.5 | 305.6 | - |
| 5 მშენებლობის პროდუქცია (მლნ. ლარი) | 55.3 | 86.9 | 120.5 | 234.6 | - |
| 6 ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის პროდუქცია (მლნ. ლარი) | 99.2 | 99.4 | 128.4 | 149.3 | - |
| 7 ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოების ბრუნვის მოცულობა (მლნ. ლარი) | 106.2 | 167.5 | 174.7 | 203.8 | - |

შენიშვნა: 2008 წლის მონაცემები მოცემულია კვარტალური შედეგების მიხედვით აღნიშნულ გრაფებში თვითნებური ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს

ახალი პარტიები

- ერთი წელი გავიდა აგვისტოს თვის შემდეგ. მას მოჰყვა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. როგორ იხსნას ეს ყოველივე სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარის ეკონომიკაზე? როგორია 2008 წლის აგვისტომდე და შემდგომი პერიოდის ეკონომიკური მაჩვენებლების თანაფარდობა?

- თმი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები ნებისმიერ ქვეყნის ეკონომიკას ძალზე მისივე მდგომარეობაში აყენებს. რაც შეეხება სამეგრელოს, ის აგრარული რეგიონია, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთ რეგიონებზე კრიზისის გავლენა შედარებით ნაკლებია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ რეგიონის ეკონომიკის დარღობიერ სტრუქტურას და იმას, რომ რეგიონში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც თავის მხრივ გაზარდა დასაქმება, ცხადი ხდება, რომ კრიზისის გავლენა რეგიონის ეკონომიკაზე გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე თუნდაც ქვეყნის დანარჩენ ნაწილში.

- თქვენ ახსენეთ, რომ რეგიონში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. გთხოვთ დააკონკრეტოთ, რომელ პერიოდთან დაკავშირებით გაიზარდა და რამდენით? ასევე, სად მოხდა მისი დაბნელება?

- დაწვებული 1989 წლიდან 2004 წლამდე რეგიონში არაფერია არ გაკეთებულა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის-მშენებლობის მმართველობით, კიდევ უფრო მეტი თქმა შეიძლება, ამ პერიოდში თითქმის მთლიანად მოიშალა რეგიონის ინფრასტრუქტურა, განადგურდა გზები

დაინგრა ხიდები 2006-2009 წლებში რეგიონის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის-მშენებლობისათვის დაიხარჯა 400 მლნ. ლარამდე

- კარგია სახელმწიფო რომ აფინანსებს რეგიონს და ზრდის ინვესტიციების მოცულობას, მაგრამ ჩვენ გვინტერესებს, როგორია კერძო (ადგილობრივი ან უცხოელი) ინვესტორის დაინტერესება. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, ესაა დროებითი ღონისძიება, რათა ფესზე დააყენოს კერძო სექტორი, პერსპექტივაში კი ჩვენ უნდა შევემნათ ისეთი პირობები, რომ კერძო სექტორი თითონ ემუდგეს ინვესტორს და კერძო ინვესტორი თავისი ინიციატივით შემოდიოდეს რეგიონში. აქედან გამომდინარე, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, როგორია კერძო ინვესტიციების მოზიდვის ტენდენცია რეგიონში? რომელი ინვესტორები იქნა მოზიდული და სად იქნა მათი კაპიტალი დაბანდებული? ასევე, საინტერესოა რა პერსპექტივებს ხედავთ ამ მხრივ.

- რა თქმა უნდა სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურის სფეროში განხორციელებული ინვესტიციები ემსახურება ერთი მხრივ მოსახლეობის ცხოვრების უკეთესი პირობების მიღწევას, ხოლო მეორეს მხრივ არის სტიმული იმისათვის რომ რეგიონში შემოვიდეს უცხოური ინვესტიციები ასეთ მაგალითად შეიძლება დავსახელოთ ცნობილი იტალიური ფირმის "ფერეროს" ზემოხედა რეგიონში, რომელიც

დინსტრუქციულია თხილის წარმოებითა და გადაამუშავებით.

- თუ არის აღრიცხული, რამდენი ახალი ხაზარმო შეიქმნა რეგიონში 2004 წლიდან დღემდე?

- რეგიონში ეკონომიკის აქტიურობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 2004 წლიდან დღემდე რეგისტრირებულია 15 036 ახალი ეკონომიკური სუბიექტი. რაც შეეხება ახალ ხაზარმოებს 2004 წლიდან დღემდე სამ ათეულზე მეტი სამრეწველო ხაზარმოა შექმნილი სხვადასხვა სფეროში: თხილის გადაამუშავება, ხე-ტყის დამუშავება და სხვა სფეროებში.

- მათი წილი რეგიონის ეკონომიკაში?

- ყოველი ახალი ხაზარმოს შექმნა ეს არის ახალი სამუშაო ადგილი, დასაქმებული ადამიანები, რომელთაც აქვთ შემოსავალი ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად, რაც შეეხებათ მათ წილს რეგიონის ეკონომიკაში 2004 წელთან შედარებით 2007 წელს რეგიონის მრეწველობის პროდუქციის მიცულობა გაიზარდა 2.5-ჯერ და შეადგინა 75.2 მლნ. ლარი. აღნიშნულ პერიოდში 4.2 -ჯერ გაიზარდა მშენებლობის პრიდუქცია, ორჯერ გაიზარდა ვაჭრობა, 1.5 -ჯერ გაიზარდა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის პროდუქცია. 1.5-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

- რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული დღეისათვის რეგიონის ატარებულ სექტორში?

- რეგიონის აგრარურ სექტორში ყველაზე მეტად განვითარებულია მეცხოველეობიდან - მესაქონლეობა, მეცენკარეობის დარგებიდან - თხილისა და კივის წარმოება. ამასთან, თხილი წარმოადგენს რეგიონის ფერმერული მეურნეობის დიდი რაოდენობისთვის ერთ-ერთ სასაქონლო პროდუქციას, რომლის მოხაკეციანობაზე და ფასებზე დიდად არის დამოკიდებული მათი ყველაფი შემოსავლები.

- რომელი დარგი ან დარგებია მიჩნეული რეგიონისათვის პრესპექტიულად?

- უახლესი პერიოდისთვის რეგიონისათვის პრესპექტიულად მიჩნეულია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სამეგრელო სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, სწორედ აქ იქმნებოდა და ახლაც იქმნება მთლიანი რეგიონული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი. დიდი შესაძლებლობები არსებობს ამ დარგის, როგორც ინტენსიური, ასევე ექსტენსიური განვითარებისათვის. რაც შეეხება ტურისტულ სექტორს ამ სფეროშიც რეგიონს დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

- რა მდგომარეობაშია ზუგდიდის ქალაქკომინატი და ფაიფურის მუნიციპალიტეტი თუ ამ მიმართულებით რაიმე სერიოზული წარმატებების იმედი არ უნდა გვქონდეს?

- ორივე ხაზარმო კერძო საკუთრებაშია და ამდენად მის წარმატება-წარუმატებლობაზე პასუხისმგებელია ის მებატონეები, რომლებმა თავის დროზე შეიძინეს ეს ხაზარმოები. ხახველწიფო კერძო ფორმების საქმიანობაში ვერ ჩაერევა.

- რამდენად პერსპექტიულია ხე-ტყის გადაამუშავებელი მრეწველობის განვითარება რეგიონში. იგულისხმება ხის მზაროდუქციის წარმოება. ნუთუ ამ სექტორში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება არ შეიძლება რეგიონში?

- მოგვხსენებათ, რომ რეგიონის ხაქსორტო პროდუქციის გარკვეული ნაწილი მოდიოდა გადაამუშავებულ ხე-ტყეზე. რა თქმა უნდა მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ რეგიონიდან გავიდეს მზა პროდუქცია.

- სამეგრელო, განსაკუთრებით წალენჯიხის რაიონი, ცნობილია მესაქონლეობით. საინტერესოა, რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯები ხომ არ გადადგმულა ამ დარგის და განსაკუთრებით მეკამეჩეობის ასახორმინებლად? ხომ არ გიცდიათ რძის ისეთი პროდუქტის, როგორცაა სულუგუნი (რომელიც მეტ-ნაკლებად მკვიდრდება სხვადასხვა ქვეყანის სასაქონლო ბაზრებზე) დამზადებისა და უცხოეთის ბაზარზე გატანის ხელშეწყობაზე?

- მოგვხსენებათ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის ხასოფლო-სამეურნეო რეგიონია, გამომდინარე აქედან სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ვურადლება მიაქციოს ამ დარგის განვითარებას, იქნება ეს საწვავი თუ მინერალური წყლები, გარდა ამისა საერთაშორისო ორგანიზაციები რეგიონულ ხელისუფლებასთან კორდინაციით ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ.

- როგორია ტურიზმის როლი და პრესპექტივი რეგიონში (ღებარდე, ლუგუაი, მენჯი. . .)?

- 2006-2009 წლებში სახელმწიფოს მხრიდან თითქმის 400 მილიონ ლარამდე განხორციელებულმა ინვესტიციებმა ინფრასტრუქტურის სფეროში, რეგიონს დიდი პრესპექტივები გაუჩინა ტურიზმის განვითარების

საინფორმაციო ცენტრი



ახალი პერიოდისათვის

თვალსაზრისით. მიმდინარე წელს ჩვენ დაეიწვეთ ზუგდიდ-მესტიის გზის რეაბილიტაცია, რაც ტურისტებს მისცემს საშუალებას ეს მანძილი გაცილებით ნაკლებ დროში გაიარონ. ეს კი კიდევ უფრო გაზრდის მესტიის ტურისტულ მიზიდაველობას. გარდა ამისა, რეგიონს ფართო შესაძლებლობები გააჩნია ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარებისათვის. ეს ესება, როგორც, ლებარდეს, დუგელას და მენჯსასხვევ სხვა პრესპექტიულ საკურორტო ადგილებს, ამ საკითხებზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და ვიმედოვნებთ, უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყდება.

- რამდენად არის გამოყენებული რეგიონის სამკურნალო პოტენციალი? რა ხელისშემშლელი მიზეზებია მისი სრული დატვირთვით ასაშენებელი?

- როგორც თქვენთვის ცნობილია, რეგიონს გააჩნია ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარების ფართო შესაძლებლობა, რომლის გამოყენებაზე და ინვესტიციების მოზიდვაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

- მოგეხსენებათ ტურისტებს, განსაკუთრებით მდიდრებს, იზიდავთ ფუნქციონალური სასტუმროები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. როგორი მდგომარეობაა ამ სხივ რეგიონში? რომელიმე ცნობილი კომპანია აპირებს თუ არა სასტუმროს აშენებას რეგიონში.

- რეგიონში სასტუმროების მხრივ მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება, რაზეც მუქვევლებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს მესტიაში გაიხსნა 2 მაღალი დონის სასტუმრო, რომლებიც მოემსახურება როგორც უცხოელ ისე ადგილობრივ ტურისტებს. თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ.

- რა პრესპექტივები აქვს ჩაის განვითარებას?

- ამ სფეროში გარკვეული ძვრები უკვე სახეზეა. მიმდინარე წელს გაიხსნა ახალი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა მარტვილის მუნიციპალიტეტში, წარმატების ფუნქციონირებს ზუღენჯიხისა და ზუგდიდის ჩაის ფაბრიკები. ხაერთო ჯამში რეგიონის მუნიციპალიტეტებში 2 000 ჰექტარი ჩაის გაყვალურებული პლანტაციებია გამოყვანილი, ხადაც მიმდინარე წელს მოიკრიფა 1500 ტონა ჩაის ნედლეული.

- რომელია საექსპორტო პროდუქტები (როგორც ნედლეული, ასევე გადამამუშავებული)?

- დღეის მდგომარეობით რეგიონის ძირითადი საექსპორტო პროდუქტია თხილი. როგორც დაშუშავებული ისე დაშუშავებულად. აგრეთვე ხატი, მცირე რაოდენობით გადის ჩაის პროდუქტია და თევზის ფეკელი.

- ძირითადად საით, რომელ ქვეყნებში გადის ადნიშნული საქონელი? განსაკუთრებით რუსული ბაზრის დახურვის შემდეგ რომელი ალტერნატიული ბაზრები იქნა მოძიებული?

- ძირითადად ეს არის ვეროკავშირის ქვეყნები, აშშ და დესეთეს ქვეყნები.

- როგორია დასაქმების ტენდენცია, უმუშევართა რაოდენობა, შედარება წინა წლებთან?

- 2008 წელს რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 209,9 ათას კაცს, აქედან დასაქმებული იყო 185,2 ათასი კაცი, მათ შორის დაქირავებულები შეადგენდა 42,3 ათას კაცს, თვითდასაქმებულები 142,8 ათას კაცს. უმუშევართა რაოდენობა შეადგენდა 24,7 ათას კაცს. ბოლო წლებში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა ბუნებრივია გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა.

- თქვენგანში რწმუნებული რეგიონი მოიცავს ასევე საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს მხარეს ზემო სვანეთს, სადაც სპეციფიკური მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო მოსახლეობას ბევრად უფრო მეტი პირობელები აქვთ, ვიდრე სარში. შესაბამისად ძნელია მთაში ახადგაზრდობის დამკარგება, ამიტომ საინტერესოა როგორი ტენდენციაა ბოლო წლებში და რა შექანიშებით და როგორ ფიქრობთ ამ მიმართულებით მუშაობას, თუ გაქვთ შესაბამისი პროგრამა?

- როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროგრამა რომელიც ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარე წლიდან დაიწყო.

- დიდი მადლობა, რომ დრო გამოხანებთ და ჩვენს შეკითხვებს უპასუხებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.



ქართული ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ უფელსაჩინოეს წარმომადგენელს, ეკონომიკის ფილოსოფიის ფრიად გამორჩეულ მკვლევარსა და ამ მეცნიერული მიმართულების საფუძვლის ჩამყრელს საქართველოში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკურ და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნაშვილ ვეგრს, დირსების ორდენის ორგნის კავალერს, "უბედეს კოლხთა დირსეულ შთამომავალს", ბატონ ბრიბოლ თოდუას სულ ახლახანს დაბადების 80, და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა 2009 წლის 21 მარტის საიბილუო კონფერენცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც პროფესორ გრიგოლ თოდუას სამეცნიერო მოღვაწეობისა და ქართულ ეროვნულ ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილის შესახებ საინტერესო მოხსენებები და გამომკვლევები წარმოადგინეს ოუბილარის კოლეგებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა და მოწაფეებმა. კონფერენციის მასალები ცალკე წოვნადაც გამოიცა. ჭარმაგი მეცნიერის აზროვნება განვლილმა წლებმა კიდევ უფრო მეტი სიღრმე და ენერჯია შემატა. იგი კვლავ დაულაღვავდ აგრძელებს თანამედროვე გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე მასშტაბურ კვლევას. ყოველივე ამის და აქტორის წერის განსაკუთრებული მანერის ნათესი დადასტურებაა სულ ახლახანს პროფესორ გრიგოლ თოდუას მიერ დასრულებული ნაშრომი, რომელსაც წვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ რედაქცია

ეკონომიკათმცოდნეობის ზოგახსოცილოლობიური და ღვთისმოსაობითი ასაქმტები

ბრიბოლ თოდუა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

„მტკიცედ სდევით ხარწმუნოებასა ზედა და ემიბდეთ სიკვდილსა ქრისტესათვის, რათა წარუალი დიდება კპოვით“.
მასხანან ბორბასლინი ანღურძი

მართალია აღამიანთა შინაგან ბუნებაში დესტრუქციული ძალების საწყისებოც მოქმედებენ და ბარბაროსული საქმიანობისაკენ აქეზებენ მას, მაგრამ ყისაც ისტორიული მეხსიერება აქვს, იგი სულიერი სამყაროს გაღვივების იმპულსს იძენს, რაც ბარბაროსობისაკენ სწრაფვას ვლბობება წინ. თუ რა უნდა აკეთო მომავალში, წარსულიდან უნდა აიღო მაგალითი.

სადღეო არ უნდა იყოს, რომ საბოლოოდ ხაღხთა მასები წარმოადგენენ ისტორიული პროცესების მამომრავებელ ძაღას, მაგრამ კკობრობობას დასაბამიდანვე მინც გარდაუვალად სჭირდებოდა და სჭირდება მძლავრი ბიძგი ინტენსიურ საქმიანობაში ჩართვისათვის, რომელიც მადლაღონიერი უმცირესობის გრდაუვალი ზეკავლენით შეიძლება განხორციელდეს. ასეთი ზეკავლენა მხოლოდ იმ უანგარო ბრქენთ შეუძლიათ, რომელთაც მასები გამორჩეულ მოაზროვნებად, ბელადებად აღიარებენ. ეს,

როგორც ფროიდი აღნიშნავდა, უნდა გამორიცხავდეს, როგორც ფაშისტურ, ასევე კომუნისტურ დიქტატურას. საერთოდ კკობრობობა გენიოსის გარეშე მასშტაბურ ცხოვრებას ვერ ეზიარება. დიდი პიროვნებების ავტორიტეტის განდიდება, ბრქენი მოაზროვნე გონებისადმი აღამიანთა შინაგანი პოტიენცილება კკობრობობის არსებობის დასაწყისიდან მოდის. შემოხვევითი არაა, რომ თქმების თავაკცები, ხტვისბერები, მახეშები საგანგებოდ გამორჩეული პიროვნებები იყენენ. მათ მართვის საღავეუბი ძაღლომრქობით კი არ დაუქერიათ, მეგკვიდრობით ან პროტექციით კი არ მიუღიათ მაღალი თანამდებობა, არამედ დიდი ბუნებრივი ნიჭისა და უნარის მეოხეით ეზიარნენ ამ დიად მოვლენას. ცივილიზიუბულ სახელმწიფოებში ნამდვილი მეთაური პირველ რიგში უნდა იყოს თეორეტიკოსი, მაგრამ ამასთან ორგანიზატორი და გონებადინჯი პროპაგანდისტიც.

თარგმანი: ალექსანდრე



ახალი პერიოდები

კაცობრიობის ყოველი მძლავრი პროგრესი ისტორიულად გენიოსების სახელთანაა დაკავშირებული, რომელნიც შინაგანი ბუნებით არსებითად მარტობისკენ მიისწრაფვიან. თავიანთი გაგებით უმაღლესი სამართლიანობისათვის სამსახური მათი აუცილებელი დანიშნულებაა. გენიოსის გარდაუვალი მისწრებაა, რაც შეიძლება მეტად წარმოინდგეს საზოგადოებაში. მართალია სოციუმით მათგანი ხშირად სცილდება ცივილიზებულ ნორმებს და ავანტიურისტული შინაარსით იცვება. მაგრამ საერთოდ ეპოქის ობიექტური მოთხოვნები უმრავლესობას აღაძრავს იმისათვის, რათა რამდენიმე აწილულში გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში ეთიკებიც კი დასჭირდებოდა. სწორედ ამიტომ ნორმალურ სიტუაციაში ყოველ ნიჭიერ ადამიანში იმანენტურადაა ჩასაიდუმლოებული იბრველკაცობისაკენ სწრაფა. მაგრამ ასეთი პრეტენციების უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ მაღალი გონებრივი ძაბვის მქონე და ხეობრივი სისხლქაღით დაჯილდოებულ გაბეჯულ ადამიანებს - ერის უანგარო მისხურთ, რომელნიც უკომპანოდ და გულწრფელად ადვიარებენ კანონების უხეიარსობას და მტკიცედ ემსახურებიან მის განხორციელებას.

სახელმწიფო არეობაში, რომლის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა სოციალური დაცვის ფუნქციის გარდაუვალი შესრულება, უნდა შედგინდნენ დიდი განათლების, გამოცდილების, პატოსუნებისა და სიბრძნის მქონე ადამიანები.

დამთავრდა ჩართვის მანუფაქტურული სპეციალისტების ბატონობის ხანა. შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ ახალი გერმანული ისტორიული სკოლის თეორეტიკოსებმა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის ობიექტად საკუთრივ კონომიკური ყოფის გარდა მასში იმანენტურად ჩართული რელიგიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ეთიკური, ესთეტიკური და სხვა მსგავსი პრობლემები გამოაცხადეს. ხაქმე ისაა, რომ საზოგადოება ერთიანი განუყოფელი ორგანიზმია, ეკონომიკის განყოფილება მისგან პირობითად შეიძლება მხოლოდ, უნაადრ მას არ აქვს დამოუკიდებელი რეალური არსებობა. ნაწილი ყოველივეს შეიცავს მოულოდნელ დამაკავშირებელ ნიშანს.

რელიგია და აბსტრაქტული აზროვნება დემოკრატიის სახელებს ადამიანს, ცხოვრებაში უწმინდესი მისწრაფებები შეაქვს. ამერიკის საზოგადოება დრმად რელიგიური საზოგადოებაა.

ამიტომაც ესოდენ ძლიერი და წარმატებული იყო აქ არის საოცარი შერწყმა ქრისტიანული დერბეულეებთანა და უკულტურულ მასუხისმგებლობის. ამასთან, ბიზნესის პასუხისმგებლობაც ექცევა საგანგებო ყურადღება. ეს არის ნდობაზე დაფუძნებული საზოგადოება აქ ფარისევლობა არ მუშაობს.

მეცნიერებაში ყველაზე უღრმესი იდეალები დრმა რელიგიური განკლებიდან იღებს სათავეს (ანშტაინი). ამასთან, დემოკრატიის იდეალები (კულური ლაბორატორიის გაცემის გარეშე ეს იდეები სრულყოფას ვერ მიაღწევს. აღმსარებლობა ცივილიზაციის უმოთგრესი ნიშანია. რელიგიის ისტორია აბსტრაქტული აზროვნების გარეშე არ არსებობს. მეცნიერული გონებისათვის აბსტრაქტული აზროვნება ჭეშმარიტი კულურა-ძიების სტიქიაა. ისტორიული მეთოდით დგროვილი მდიდარი მასალის ანალიზი ცოცხალი განჭვრეტის საფეხურს თუ არ გასცილდა, სრულყოფილ ინტელექტუალურ დირბულებად ვერ ჩაითვლება.

მეცნიერებისათვის განსჯითი და აბსტრაქტულ-გონებისთი ფუნქციების კავშირუროტიურობის დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. პლატონის „მაგიდობის“ და „თასობის“ დანახვა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც თეალი აქვს (შეგვილი). ამიტომ მხოლოდ განსჯითი აზროვნება ვერ გადაწყვეტს თეორიულ პრობლემებს, თუმცა იგი კატეგორიული აზროვნების აუცილებელი წინაპირობაა. დიალექტიკური მეთოდი კონომიკურ მოვლენათა შორის არა მხოლოდ კაუხალური კავშირების შეცნობის საშუალებას იძლევა, არამედ მთელი მათი შინაარსის განეთარების გახასაც მიგვანიშნებს. მისი იმანენტური თავისებურება სინთეზურობა, რომელიც საკითხთა შორის სუბორდინაციულ კავშირებს გულისხმობს, თეორიის ისეთ გაშლა-განვითარებას მოითხოვს, რომ გენეტიკურად დაკავშირებული ყოველი კატეგორია წინამორბედს უნდა იქვემდებარებდეს და მოხსნა-შენახვის ფორმით იმორბედეს კიდევ-იდეს თანმიმდევრული განვითარების მეთხებით აიძლებს მოაზროვნე გონებას სისტემაურად დაეუფლოს მთელ მასალას.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უზარმაზარი სიმრავლის დრმა თეორიული განზოგადების გარეშე ნებისმიერი ერის მეურნეობის განვითარების კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის (ა. სმითი, დ. რიკარდო)

1. შეგვილი, დლოვიკის მეცნიერება, თარგმანი გერმანულიდან შადლა პაპუაშვილისა, თბ., 1962, გვ. 52.

და, საერთოდ, ინგლისელი მეცნიერ-ეკონომისტები ერთნაირი მკურნალობის საკითხების საერთო საკაცობრიო პროცესების შექმნებისა და გათვალისწინების მიხედვით წვევდნენ. და თუ ინგლისი იმთავითვე მსოფლიო ცივილიზაციის სათავეში მოექცა, ეს ამ ქვეყნის მეცნიერ-ეკონომისტების დამსახურებაც იყო.

ნიშანდობლივია, რომ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეთა მოხსენებებში, როგორც ჰეგელი აღნიშნავდა, საყოველთაო სახელმწიფო მკურნალობის ძირითად დებულებათა მიმართ ხშირად ვგვხვდება გამოთქმა: ფილოსოფიური პრინციპები, ხოლო განსაკუთრებით უახლეს დროში წარმოშობილ პოლიტიკურ ეკონომიას ფილოსოფიას უწოდებენ. 1825 წლის 2 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე სეფერ-სიტყვისადმი საპასუხო მიმართვაში ოსოზიციის წევრმა ბრუმმა აღნიშნა, რომ მისი უდიდებულესობა დღეს პარლამენტს ულოცავს სახელმწიფო მოღვაწის ღირსშესაფერისი თავისუფალი ვაჭრობის ფილოსოფიურ პრინციპებს, ხოლო სახელმწიფო მდივანმა კანინგამ ოსოზის სადღეგრესელოთან დაკავშირებით უპასუხა: მოკლე ხნის წინათ დიმიტრი ისეთი პერიოდი, როცა მინისტრებს შესაძლებლობა და ძალა შესწევთ ინგლისის სახელმწიფო მმართველობაში ღრმა ფილოსოფიის მართებული მაქსიმები გამოიყენონ მაშინ, როცა სხვაგან, სინანულით ამბობდა ჰეგელი, ფილოსოფია დასაცინად იხმარება, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწენი ესოდენ დიდი პატივისცემით იხსენიებენ მას!

ჰეგელი აქ ფილოსოფიურ კოსმეტუკას კი არ გულისხმობდა დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მქონე ყველა ეკონომისტს რომ დოქტორის ხარისხს ანიჭებს, არამედ ფილოსოფიური გონების ადამიანს. საჭიროა მუდამ თვალწინ გვედგას დიდ მოაზროვნეთა ბრძანული შეკრება: ერს, რომელსაც მეცნიერების სიმაღლეზე დგომა სურს, თეორიული აზროვნების გარეშე ადვილად ევრთფერს მიაღწევს, თეორიული აზროვნება თანდაყოლილი ინტელექტუალური თვისებაა, რომლის განვითარების უპირველესი საშუალება ფილოსოფიის დაუფლებაა.

მემატანიანი ამბობენ, დემოკრატებმ თავი დაიბრძავე იმისათვის, რომ გრძნობად შთაბეჭდილებებს ხელი არ შეეშალა მისთვის აბსტრაქტულ აზროვნებაში. აზროვნების ამ უმაღლეს ფორმადე მისეღის სხვადასხვა გზაც არსებობს. ყველა მათგანი გამართლებულია, თუ სასოფადღობის სახსკეოთ დოხდება მისი პრაქტიკული გამოყენება, თუ დაიდა მისხების განხორციელებას ემსახურება იგი.

ყოველი ცივილიზებული ერის და, საერთოდ, კაცობრიობის სახურველი მერმისი მრისხნულ სრულყოფილ ადამიანებს, რომელთა არსებაში მოცემული იქნება ძალისა და სისადავის, გონებრივი და ფისიკური შესაძლებლობების პარმონიფი სინთეზი. სულეირი ცხოვრება ერთ-ერთი უმათერესი ფერმენია, რომელიც განაპირობებს ერის მომავალს. შეიძლება ითქვას, რომ ებრალი ხალხი არსებითად ლეონისოსობაძაც გადარჩინა. დედამწის სხვადასხვა რეგონში იძულებით მიმოფანტულთ ბიბლია ასულდგმულედა ყოველთავის. რელიგიური კონცეფციისადმი ერთგულება, ქართული მითოსი, ფოლკლორული მრდიფერ, ყუფისტეგოსანის და სხვა დიდი ინტელექტუალური მიღწევები იყო ის სულიერი ძალ-ღონე რომელმაც ქართველი ხალხი საბედისწერო ქარტეხილებში გამოატარა.

ბუნებამ მხოლოდ სტომაქის რთული სახელოსნო კი არ შექმნა, არამედ მასზე აღმართა საზრისის უდიდესი ტაძარი. სწორედ ეს უკანასკნელი ამართლებს ადამიანის არსებობას. უნივერსიტეტების ამოცანაა არა უბრალოდ ეკონომიკრი თეორიის საკითხების სწავლება, რომელსაც ძირითადად თვითონაც კი დამოუკიდებლად შემღებენ აქტიური მშენებლები არამედ აზროვნების მაღალი კულტურის ჩამოყალიბება. უმაღლესი ცოდნის ჰაბიბელთა გონება ფაქტების საწყობად კი არ უნდა იქცეს, არამედ – მოაზროვნე გონებად. ემანუელ კანტი ლექციების კითხვის დაწვეების წინ მოკლე რეფრაქტებს ურიცხვებდა მშენებლებს, რომელშიაც შესაწავალი საგნის ამოცანებთან ერთად მისი ძირითად მიზანსაც აუწყებდა: თუ თქვენ ფილოსოფია კი არ უნდა გასწავლოთ, არამედ – ფილოსოფოსობათ. ამ შემთხვევაში მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონიდან ამონარიდი მასალის დამასხოერებას კი არ გულისხმობდა, არამედ ფილოსოფიურ აზროვნებას. ცხადია, ამას გონების თანდაყოლილი ორგანიზაციაც სჭირდება.

ყოველივე ამის გამო თანამედროვე პირობებში ხელისუფლების მმართველ დასს ენციკლოპედიური ცოდნა მოეთხოვება. მისი ინდივიდები უცილობლად უნდა ერკვეოდნენ მეცნიერების ფუნდამენტურ მიმართულებებში, ეინაიდან დღეს დიდი მიღწევები მეცნიერებათა გადაკეთების არეებში ყალიბდება. ეს მმართველობითმა აპარატმა მოქმედების საფუძვლად უნდა მიიჩნოს მაგალითად, ასეთებია: ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბიოკოსმონაექტიკა, მათემატიკური ლინგვისტიკა, ფინანსური

ინფორმაციული სისტემა



მათემატიკა, ციონომიკის ფილოსოფია, ციონომიკური ეკოლოგია და მრავალი სხვა. აქედან გამომდინარე თანამედროვე გამოყენებითი მთვლანობის საფორმა მონათესავე მეცნიერებათა შედეგების ცოდნა და შემოქმედებითი გამოყენება. შემთხვევით როდი ამბობდა ჩვენნი დიდი თანამემამულე ალ. ბატონიშვილი: „ბედნიერია ერი, სადაც ფილოსოფოსნი მეფობენ და მეფენი ფილოსოფოსობენო“.

სახელმწიფოებრივ სიბრძნეს შეიძლება ფლობდეს მხოლოდ ისეთი მოახროუნე გონება, რომელსაც ისტორიული პროცესების განვითარების უნარი ექნება. ვინაიდან დღეს ცივილიზებულ მსოფლიოში არაფერი ხდება ისეთი, რომ ანალოგები სხვა ფორმითა და დროით არ პიონდეს წარსულში. როცა დიდმა რევოლუციამ საფრანგეთი შუაზე გაჭო, ფრანგმა მეცნიერებმა ეძულ მიშლემ თავის კრს ასე მიმართა: „თანამემამულეო, გემუდარებით ნუ გაიყოფით ორ ნაწილად“. მაგრამ რევოლუციური სიტუაციით წარმოშობილმა სიძულვილმა ხალხს არ მისცა ამ ხეყწა-მუდარის გააზრების საშუალება. იაკობინელთა ფსიქოლოგიური სამყარო აგარტურისტულმა რევოლუციურმა სინდრომმა შეიპერო. მას კლასობრივ და პარტიულ განსხვავებათა ნიადაგზე ერთა შორის დაპირისპირება მოჰყვა. თვით ფრანგი ერის შიგნითაც განდა საბედისწერო სიძულვილი. მიუგომ 93-ში ეს შემადრწუნებელი სურათები საოცარი ფერებით წარმოადგინა. ჩვენშიაც მსგავსედ წარმართა მიუღუნათა მხედველობა XX საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ ისტორიის ტრაგიკული მაგალითების გათვალისწინება ვერ მოხერხდა. ბანტიტურმა ძალებმა ერთ მონოლითურ მთლიანობად შეკრული ქართული ერი, 9 აპრილის იგამიოუწვდომი ეპოპეით მაქსიმალურად რომ გამოეღისნდა, მუხანათურად გასწირა.

არადა უმეღევი დროიდან მოხდებოდა ჩვენი ერთი მოწინავე წინამძღოლებს საქართველოს ერთიანობისათვის თვგანწირული ბრძოლა. სახელმწიფოებრივი სიბრძნის პუმივერბიული ნიშნში იყო ქუჯე ეგრიხელის გაღაწევეტილება საქართველოს გაერთიანების შესახებ. იგი იმხანად (IV - III სს) დასავლეთ საქართველოში მან სიდრმისეულად განჭვრიტა, რომ საქართველოს გაერთიანება აღმოსავლეთ საქართველოს გარშემო უნდა მომხდარიყო. უფოყმინოდ დაუთმო თავისი გურგეკინი ფარეაგასი. შეუთოგლა: თავი და თავი ქართლსახანი ადმინიხივლო ქართველნი ხართ, ამიტომ შენ გამართებს მეფობა ჩემი და მე ქვეყნდრომობა შენ“. ქუჯემ ასეთი გზა რომ აირჩია

მაშინ სამეფო დასუსტებული ქვეყანა კი არ ყოფილა, არამედ აღზავებულ მდინერე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო. ვიწრო კუთხური პარტიკულიარზხის ხიხლი აქუსტებდა მის გონებას აქეთკენ. განუყოფეკა ერთიანისაქართველო იყო მიხი იღვალდი. თორემ უძველესი კოლხების არც ძღვევამოსილება აკლდათ და არც სწნობათა სიმწვობრე და დახვეწილობა, რაც უწინარავს სახელმწიფოებრივი წყობის მოწესრიგულ სისტემას ნიშნავდა.

თუმცა მიდრიტატე VI-ის - ეგვალორის (120-63) სამეფოში შედარებით შესუსტებული კოლხეთი შედიოდა, მაგრამ ამ ქვეყნის ხალხის მეომრულ შემართებას მაინც ქება - დიდებით იხსენებდნენ შემატანენი. რომელი ისტორიკოსი აპიანე (90-170) გადმოგვცემს: მითრიტატეს ელნი პელოპიდე ჯერ ეიდვე ომის დაწევაბმე ემუწეროდა რომელ მხედართმოავრებს, რომ პონტოს არმიას შეემატა ისეთი უებარი მხედრები, როგორიც კოლხებიო.

მოგვიანებით, VI საუკუნის ისტორიკოსი აგათაი სქოლასტიკოსი აღნიშნავდა: ლაზები წარმოადგენდნენ ძლიერსა და მამაც ტომს და ზომავზე მეტად ქვდილობდნენ, შესაძლოა არც თუ ისე უსაფუფელოდ... ესოდენ სახელგანთქმული და მორტომული, როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქვეშეყნდრომისა სიმრავლით, ისე მიწა-წყლის სიკეთით, მოსაყვლიანობის სიჭარბით და სხე-ჩვეულებათა სიმწვობრით და დახვეწილობით სხე ტომი მე არ მეუღლება“.

ახალი დროის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც პიონრა განუყოფელი ერთიანობისათვის ბრძოლის მსგავსი უბრწინავალესი მაგალითი, მაგრამ ბნელმა ძალებმა ეს დიდი ეროვნული პარადიგმა აინწშიაც არ ჩაადგეს. საქართველოს დამოუკიდებლობის დრო ახლოვდებოდა. იდაც 1917 წლის 22 ნოებერი. ეს იყო ისტორიული დღე, როცა ჩატარდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო. ყრილობის მიმდინარეობის პროცესი დიდი მხატრული ოსტატობით ასახა გამომხენილმა ქართუქმა მწერალმა ვრ. რობაქიძემ „საქართველო - წერდა იგი, - აღმბართა, როგორც დაუსრუტკელი უზუნაესი არსი. სად იყო იქ პოლიტიკური დოგმა? სად გაქქრა პარტიული პროგრამა? საით გაფრინდა ვიწრო ჯგუფური ღოზუნგი?

ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცანით უკანასკნელ წეობად, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვადრე პროგრამა-ღოზუნგი. განა უზუნაესი მთელი, დიადი სოციალური ხსეული რომელმე ფარგლებში დატუტვა?

ახალი ეროვნობა

საქართველომ გაარღვია ყოველი რკალი ჩვენს მიერ შექმნილი და თვითონ გაიშალა, უხილავი, ერთ უსახვერო მზუგოსან რკალად, საქართველო არა როგორც ემიგრირებული ფენომენი, არამედ როგორც მეტაფიზიკური მყოფადობა. საქართველო ეს მე ვარ, ამის ნაცვლად ჩაისახა სხვა შემეცნება, უფრო სწორი და გამართული, ჯერ საქართველო და მერე „ქი“. ნოე ყოვრდინამ თავისი უკანასკნელი ისტორიული სიტყვით მხოლოდ ეს ფსიქოლოგიური ამბავი დაადასტურა. ამიერიდან არსებობს ერთი ქართველი ერი“²

ბოროტმა დაჯგუფებებმა ახალი დროის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ვდგა უმაღლესი იდეალებით აღვსილი დემოკრატიული ტრიუმფატორი სუიად გამსახურდა, მუხანათური მეთოდებით საფუძველი შეურყეის და შექმნეს ძალაუფლების თაღლითური მიტაცება. სრულიადაც ვერ გაითვალისწინეს ბიბლიური მოხსენიება: „მთავარსა ერისსა შენისასა არა პრქვა ძვირთ“. მაგრამ რატომღაც ამ ძალების ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ ჯერხანად მისტორიულ არსებითად ჩანაც დუმილს ამჯობინებს. ამიტომ ჩვენი პოლიტიკური კურსი უნდა იყოს მალაქროვნული და თანმიმდევრული. დიდი მოაზროვნე კანების დაუფასებლობა ბარბაროსობის ჭაობისაკენ მოსასვრის ნებისმიერ ერს. ამიტომ ყოველი ცივილიზებული ხალხის მოვალეობაა გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებისადმი თანადგომა. უნიკუმი კი, როგორც წესი, თვითონვე ძალიან მოხერხებულად იკვლევენ თავიანთ მრუდუ გზას. დიდი გონება ყოველთვის უკავადებობსაკენ მიისწრაფივს.

საკუთრებს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას, რომელიც ინდივიდის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების პირობებს შექმნის. ამ პროცესს მთელი თავისი მრავალმხრივობით დახაბაში კაპიტალიზმის გენეზისი ხანამ მისცა. ადამიანის ფაქტორის ყურდღების ცენტრში დაყენებით სწორედ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ აამოქმედა ეკონომიკის მართვის იდეოლოგიისა და მქოდილოვით ბერკეტები, ადამიანის დუთაებრივი მონაცემების გააქტიურებას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა; გვიჩვენა, რომ ერის მთავარი სიმდიდრე გარემომცველი ბუნება კი არაა, არამედ ინდივიდის თავში მოცემული ინტელექტი და მისი გამოყენების შესაძლებლობანი.

ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტად მოაზროვნე გონება, როცა მას ინდივიდუალური


ცნობიერება გააჩნია. პიროვნებათა ორიენტაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ამასთან, თითოეული მათგანი თავის შეფასებას აბსოლუტურად თვლის. ასე გააჩნია იგი მამახუცივერმა, მაგრამ ადამიანი ამავე დროს სოციალური ფენომენიცაა, რომელსაც საზოგადოებისაგან გამოცალკევება შეუძლია მხოლოდ როგორც საზოგადოებრივ ადამიანს. რაც უფრო სუსტია ინდივიდუალისში პიროვნებაში, მით უფრო ინდივიდუალური იგი საზოგადოების მიმართ.

მხოლოდ ინდივიდუალური ცნობიერებითა და ხაქმიანობით ისტორიული პროგრესი შეუძლებელია. ამიტომაც ბევრმა გამოჩენილმა მოაზროვნემ ადამიანური სამყაროს ასეთი ცალმხრივი გაგების არსებითი უგანსიჯვა მოითხოვა, ადამიანის სოციალუზაციას მიაქცია საგანგებო ყურადღება. პეგელმა „სახალხო სული“ კატეგორია შემოიტანა მეცნიერებაში. ფართოდ გაერცვლდა ისეთი ცნებები, როგორცაა: „ინტერფსიქოლოგია“, „ხალხთფსიქოლოგია“, „ნაციონალური სული“, „მთლიანობის სული“, „სოციალური ცნობიერება“, „სოციალური შემეცნება“ და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივის გათიშვა არ შეიძლება. ადამიანურ არსებაში ჩასაიდუმლოებული ეს ორი მხარე არის ერთიანის გაორება, პიროვნული არსების ინდივიდუალური და სოციალური მხარეები ჯერ ცალ-ცალკე კი არ არსებობენ და შემდეგ კი არ ხდება მათი გაერთიანება, არამედ იგი იმთავითვე არის გაორებული ერთი.

ადამიანი რომ თანდაყოლილი ეკონომიკა, ეს მეცნიერების მიერ მრავალგზის არის დამტკიცებული. მაგრამ მასში ალტრუიზმიც სუფევს მეტ-ნაკლები სიზოთ. ამიტომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ პიროვნებები ერთმანეთის მიმართ მგლურ დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ და მათი ურთიერთობა მაღალი ჰუმანიზმის ფარგლებში ვერ განვითარდება. საზოგადოება სწორედ ასეთი განვითარებისკენ უნდა მოისწრაფოდეს დღენიდაც. რობინზონადების აქტორთა ხელაღებითი კრიტიკა მიზანშეუწონელია. რობინზონის მოქმედებიდან ნათლად ჩანს, თუ რა შეუძლია ინდივიდს, როცა მისი უნარი თავისუფალი მოქმედების ფართო სარბიელს იპოვის. ყველა ვერ შეძლებდა თავისუფალ კუნძულზე ისეთ ხაქმიანობას, როგორც ამას რობინზონი ასერხებდა. ამიტომ პიროვნებათა ძალდატანებითი დაყვანა

საქართველო

² გრ. რობაქიძე, „ისტორიული წიგნები“, გა.ს. „საქართველო“, 1917, გვ. 26.





მივნიშობა

ერთგანსომილებიანი მოაზროვნეების დონემდე არაბუნებრივი ქმედებაა.

სამწუხაროდ საბჭოურმა ყოფამ ადამიანთა შეგნებაში ჩამოაყალიბა დემოკრატიული აზრი, რომ ყველაანი პიროვნებების შეხებადებლობით ერთიანი იბადება. ამ სიერცეში მცხოვრებას იმედინად გაუჯდათ ეს აზრი მიუღდ არსებაში, რომ ინდივიდუალიზმის განვითარების მასშტაბები შეიზღუდა. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება ადამიანთა გონების საფუძვლიან ეთიკურ-ფსიქოლოგიურ გარდაქმნას მოითხოვს. ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ სოციალური უთანასწორობის სინდრომმა არ მოიცვას ხასოგადობა. თუ ყველა ადამიანი ერთგანსომილებიანია, თუ ყველა ერთნაირად აზროვნებს, მაშინ არცერთი არ აზროვნებს“ (სეგელი)

ნორმალურ ადამიანებს თავისუფლებისკენ სწრაფის სურვილი მიუღი სიხრულით სიკვდილის შიშთან ერთად უყალიბდება. ქრისტიანობამდე კაცობრიობა მტრისმტედ მტკიცეულად განიცდიდა სიკვდილზე ფიქრს. ამის უდავო მოწმობაა ევოპტური და ბაბილონური სამეგლოვიარო მემკნები. იგავმიუწვდომელი „ტიდგამეში“; დატვირთანი ტყელ საბერძნეთში, რომში, უძველეს კოლხეთსა და იბერიაში, გამოსჩენილი ადამიანების ფიქრი სიკვდილზე. IV საუკუნის ცნობილი მქალაგბული ევრემ ასური სიკვდილის რაობის მტედ შემაძრწუნებელ განცდებს გადმოგვეცემს:

„ვანი, რა უწევარი სტუმარი არს!
ვანი, რა ხადაკულ არს ხმა ჰამაგვისა მისისა!
ვანი, რა შემაძრწუნებელ არს განმზადება მისიების მახსინვლობად!

ვანი, რა სახარედ არს შეგრა მისი და საშინელ ხიდეა პირისა მისისა“.

ამ ხსოლოდ ეოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემით შეძრწუნებული ადამიანის გოდება კი არაა გადმოცემული, არამედ სიცოცხლის დაუცავებისა და გაფრთხილების აუცილებლობაზეც არის მიჩნეული. ბრძენი უთქვამთ: მუდამ გახსოვდეს სიკვდილი, რომ გაუფრთხილდეთ სიცოცხლეს.

ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამ ახალი იმედი შთაბერა ეუროპული კაცობრიობის მოდგმას. სულის იმქვენიური არსებობის ქალაგბას ცნობიერების ძლევამოსილი აღორძინება მოუყა. ერების ჩამოყალიბების პროცესის მოაეროები კი არ განაპირობებდა, არამედ დიდი და თავგანწირული ადამიანების შეთაურობით

ჯანსაღი სახელმწიფოებრივი იდეა და ჯანსაღი რელიგიური მსოფლმხედველობა მსოფლიო ადამიანები, პირველ რიგში, ცხოვრობენ იდეებისათვის და არა ამქვეყნიურ ბედნიერებისათვის, ყოველთვის მარტონი არიან და არც არიან მარტოობაში. მათთვის მარტოობა ცხოვრების მარადიული ზეფრენაა დასაბამიდან. მარტოობა გენოსებს შეუძლიათ მხოლოდ (რემარკი).

ადამიანთა ხელოვნურად შეყრა ერთგანსომილებიანი ინტელექტუალურ სიერცეში არა თავისუფლების, არამედ აღვირახსნილი დემოკრატიის დამკვიდრებისაკენ მიაქანავებს კაცობრიობას. დემოკრატია მაშინ არის კარგი, როცა მოქმედებს როგორც სისტემა და არა ატეხული რომელიმე უკუფის ან ცოდეკული პირის ინტერესებზე. საზოგადოება უნდა განერდოს ისეთ დემოკრატიას, რომელიც სულზე და გონებაზე ბიოლოგიური საწყისის გაბატონებას იწვევს, როცა დემოკრატიას არაფრად მიანია ზნეობრივი დირებულებანი, რომელიც ადამიანს პიროვნებად აქტევს. ზღვარგადასული თავისუფლების შედგეი, როგორც თითოეული ადამიანისთვის, ასევე მიუღი სახელმწიფოსათვის არის მონება“.

თვესდაც რომის ძლევამოსილ სახელმწიფოში ცეზარისტულ დიქტატურას წინ უსწრებდა დემოკრატიული ცეზარიზმი. ასეთი ვითარება კანონსომიერ მოვლენადაც კი მოსწინადა ანტიკური ისტორიის კაბადონზე. ევოქტობ, ურიგო არ უნდა იყოს მისი შინაარსის რაციონალური მარცვალი, თვისებრივად სახემქველილი, მოხსნა შენაბის ფორმით ჩვენს მოდევანობაში რომ ყოფილიყო გათვალისწინებული. საქმე ისაა, რომ აღვირახსნილი დემოკრატია, მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, საფრთხეს უქმნის დიდად განზრახული მოვლენების დამკვიდრებას, წალკეკით ემუქრება ქართველი ხადხის კულტურულ-ისტორიულ ნამაგარს და, საერთოდ, მიუღი კაცობრიობის მომავალსაც. ამიტომ დემოკრატიის, როგორც სისტემის, დამკვიდრებამდე ცალკეული სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებში ცვიდლიური ფორმით უცილოდლად საჭიროა კუმანი ხეზეული „დემოკრატიული დიქტატურის“ ელემენტების გამოყენება მაინც. მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ერის სასიცოცხლო არტერიები: ენა, მამული, სარწმუნოება. ამ წმინდა სამების“ განუყოფელი ერთიანობა, მრავალი ნიშნის შემცველი ერთი ის სუბსტანციური ძლიერებაა, რომელიც

ახალი სომეხობა

¹ პლატონი, სახელმწიფო, 2003, გვ. 315

განსაზღვრავს ყოველი ხალხის გარანტირებულ მომავალს.

ისტორიული წყაროების მოწმობით, მითრიდატე პონტოელმა 22 ენა თუ კიდოკაცი იცოდა. მის სახელმწიფოში შემავალ ტომებთან ადგილობრივ კილოკაცებზე და ენაზე ამყარებდა კავშირურთიერთობას. პირველი საუკუნის მწერალი პლინიუს ხეკუნდუსი გადმოგვცემს: მითრიდატე, მეფე ოცდაროი სხვადასხვა ტომის ხალხთან აწარმოებდა მართლმსაჯულებას აქედნავე ენაზე და შეკრებილთ მიმართავდა ხოლმე თითოეულ ტომს მის ენაზე.⁴

უნ უწყის, იქნებ პონტოს ეთნიკური თავისებურება უკარნახებდა გენიალურ მხედრობათმადარს მრავალი ენის თუ კილოკაის შესწავლის აუცილებლობას. მითრიდატე იუგოსლავიის სახელმწიფოებრივი სიბრძნით დაჯილდოებული ფიგურა იყო. მაგრამ მისი სამეფო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მტკიცე ეროვნულ საძირკველზე დაფუძნებულ ქვეყანას. იქ არ დომინირებდა ენა, მამული, სარწმუნოება. პონტოს სამეფოს კონგლომერატულ-დემოკრაფიულ სტრუქტურაში მტკიცედ დადაკნული სახელმწიფო ენა არ არსებობდა. ეს იყო დიდი პონტოელის სამეფოს დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი და არა მხოლოდ რომის იმპერიის ძლევამოსილება.

თუმცა იმდროინდელ პონტოს სახელმწიფოში ქართველი ტომების ფენიმიენი ბატონობს. პონტოს სამეფო, - როგორც ამას დამაჯერებლად ასაბუთებდა პროფ. გ. გოზალიშვილი, - არის ნაწილი ძველი დიდი ქართული სამყაროსი. მისი მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ: მესხები, ტბაღ-ტბაბარენები (იბერები), ხალდეები, ხალიბები, კოლხები, მოსინკები და სხვები. პონტოს სამეფოს მთავური მითრიდატეს სპარსული შთამომავლობის შესახებ ვერსია რეალურ სინამდვილეს არ უნდა გადმოსცემდეს. იგი შემდგომში ხელოვნურად არის შეიზნული გარკვეულ მიზნდასახულობასთან დაკავშირებით. თუნდაც მითრიდატეების სპარსელთაგან წარმოშობა მართალიც რომ იქოს, ამ დინასტიის შეთქმულებე თაობის წარმომადგენელს მითრიდატე VI-ს სპარსულ სამყაროსთან არაკეთილური ორგანიზაციის კავშირი არ უნდა ჰქონდეს. იგი ქართული სამყაროს დეიდი შეიღია. ის სამყარო, რომელიც მითრიდატეს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლას

აწარმოებდა, - ქართული იყო. მითრიდატეს მეთაურობით წარმოებული ბრძოლა ქართველი ტომების მიერ უცხოელ დამპყრობის წინააღმდეგ, საკუთარი თვითარსებობისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული სამართლიანი, თავანწირული, გმირული ბრძოლა, რომლის მნიშვნელობაც ადგილობრივ ხარზოებს სცილდებოდა და საერთაშორისო მნიშვნელობას იღებდა. მითრიდატე პონტოელის დროინდელი პონტოს სამეფოს ძლიერება იყო ფიზიკურ-მატერიალური და კულტურული ძლიერება იმ ქართველი ტომებისა, რომელიც ამ პოლიტიკური ორგანიზმის სისხლსა და ხორცს წარმოადგენდნენ.⁵

ყოველი ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა ეთნიკური უმცირესობის ენებისა და სარწმუნოების განვითარების ფართო შესაძლებლობებს უნდა იძლეოდეს. მაგრამ საერთო სახელმწიფო ენისა და სარწმუნოების გაბატონებული ადგილი აუცილებლად გარადაუვალაია. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ერი დაშლის მრისხანე საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.

ახლა ისევ პლატონს დაუუნბრუნდეთ. მისი აზრით, დაუცხრომელი დემოკრატია მხოლოდ დემოკრატიისკენ და ყოველივე დანარჩენის უგულვებლყოფა ამახინჯებს დემოკრატიულ წყობილებას და ტირანიის მოთხოვნილებას ბადებს. ასეთი ვითარების შედეგია ის, რომ მასწავლებლებებს ეშინიათ მოსწავლეების, მოსწავლეები კ. წ. თავისუფლების მომსახურებით არაფრად აგდებენ მასწავლებლებებს, შეიღები პატიეს არ სცემენ უფროსებს, ბაძვენ და სიტყვით თუ საქმით უჯიბრებიან მათ. უფროსები კი ცდილობენ მიესადაგონ ახალგაზრდებს, რათა აუტანელ დესპოტებად არ ჩანდნენ ხალხის თვალში.⁶

ყოველი ერის მოქმედი ელიტა პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაყოფთ: 1. გენიოსები და დიდი მოაზროვნეები; 2. გმირები, თავგანწირვისთვის მზადყოფნი; 3. ლაბრები და მდაბალი ეგოისტები; 4. ობივტკლები.

თბავტკლური მასაა სწორედ ძალიან საშუაში. მათ ხელეწიფებათ მთელი საქართველოსა და მის წინამძღოლთა ხელაღებითი ლანდლაგინება. ვიმეორებ, ოდნავადაც ვერ ითავლისწინებენ ბიბლიური მოსხე შეგონებას: 'მთავარზა ერისა შენისაზა არა ჰქვა ძიერი'. ყველა ჭკუათმოყოფელმა

თბილისის უნივერსიტეტი

⁴ ის. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 253

⁵ ის. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 253.

⁶ პლატონი, სახელმწიფო, 2003, გვ. 312-313.



იცის, რომ საქართველოს დღეს უჭირს, მაგრამ ობიექტულები სინანულით კი არ მსჯელობენ ამაზე, არამედ ნიშნის მოვებით ამბობენ: ხომ დაქვევდლია საქართველო, ესეც თქვენ. ასეთი გარეწრების წინააღმდეგ დღენიდაღ უნდა იბრძოდოს ქართველმა კაცმა. ბედნიერებაა ისეთი სოციალური სივრცის შექმნა, რომლის სული გადავიძებს ცნობიერებას, დიდ პიროვნებათა გონებრივ შემკვიდრებას საგანგებო პატივისცემის ობიექტად აქციეს, წინ გადაედგობა ადამიანის სწრაფობა და გონებითი ფასეულობათა ერთიანობა. სახელმწიფო არეოპატი ზედმოწვევით სრულყოფილ ინდივიდებს მოითხოვს.

სწავლული ეკონომისტის ხარისხში ამაღლება მხოლოდ ისეთ პიროვნებას შეუძლია, რომელსაც დიდი მოაზროვნეების თეორიები აქვს

შესწავლილი. ეს ცოდნა თეორიულად შორის ანალოგიების მოძებნის საშუალებას უზღვევს ამის უნარი არ აქვს, იგი შორსმომავალი დასკვნებისა და ჭეშმარიტი რეკომენდაციების შემუშავებას ვერ შეძლებს.

საერთოდ მოაზროვნე გონებისათვის ცხოვრება მოსაწყენია, თუ ის არ იწვის დიადი, ზედმეტად იდეებით. თუ გამოჩნეული ადამიანები ამაღლებული პრინციპების განხორციელებისათვის არაფერს აკეთებენ, ვერ გაუძლებენ ცხოვრების ქარტიცილებს იმარჯვებენ არა უმნიშვნელო პიროვნებები, არამედ მხოლოდ ისეთები, ვინც არსებითად ფანტიკურადაა შეპყრობილი იდეებით. სასოგადოება ეაღდებულება მოაზროვნე გონება დაიცვას მავანთა მხრივ დაუფასებლობის სინდრომისაგან.

ECONOMICAL KNOWLEDGE GENERAL SOCIOLOGICAL AND DEVOTIONAL ASPECTS

GRIGOL TODUA

Professor, Doctor for Science of Economics

In article "Economic knowledge general sociological and devotional aspects" the role of a person in progress of the human being is discussed in the level of science. It's denoted that religion doesn't exist without abstract thinking and finally, religion and abstract thinking makes people to stand near the God. There is also underlined, that only by individual working and conscience historical progress is impossible. Also, every democratic country should help ethnic minority to spread its language and faith. But it's intransitive predominant place of general state language and religion.

Finally, we can conclude, that life for general thinker mind is boring if he isn't superlative ideas promoter. If special people do nothing for superlative principles, they couldn't endure life tempests. A victory is not for insignificant persons, it's for those, who have fanatical ideas.

სტალი კპონომიანი



პაატა კოლუაშვილი
პროფესორი, ე.ი.დ.(სსაუ)
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის წევრი

„მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთი გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ პერძნობდეს, და მეორეს გზით - მზად იყოს ფულით, ცოდნით, რწვეით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შექმლება ვერ გაწვედება.“

0ლია ზამზამაძე

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საჭიროება თვით საბაზრო სისტემის ნაკლოვანებებმა განაპირობა. ამის გამო დღეს მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ეკონომიკა (მ.შ. აგრარული) სახელმწიფოს მიერ რაიმე დონით და ფორმით არ რეგულირებდეს.

სახელმწიფო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტებით, არაპირდაპირი გზით მონაწილეობს საბაზრო ურთიერთობათა პროცესში. თუ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ქვეყანაში ამას ეკონომიკური ზრდის ტემპები, დასაქმების დონე, საგარეო ვაჭრობის ბალანსი, ინფლაციის ტემპი და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მეტყველებს.

სახელმწიფო მხარდაჭერა და რეგულირება უზრუნველყოფს აგრარულ სფეროს სტრუქტურაში. ამას ის სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებს, რითაც ეკონომიკის ეს სექტორი განსხვავდება ეკონომიკის მთლიანი (ინდუსტრია) და მესამეული (მომსახურების სფერო) სექტორებისაგან. სპეციფიკური თავისებურებებთან ერთად, აგრარული სექტორის დიდი მნიშვნელობა არის ის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რის გამოც მსოფლიოს ყველა ქვეყანა მის მიმართ სხვადასხვა მარეგულირებელ დონის მიხედვით ასორციელებს. აგრარული სექტორიდან ფერმერების და მათი ოჯახის წევრების არახასიფლო სექტორში სამუშაოდ გადასვლის ტენდენცია იძულებს თანამედროვე განვითარებაზე სახელმწიფოებს, შეიმუშაონ არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების პოლიტიკა, ანუ ერთმანეთთან შეხამდეს სოციალური და ყოფითი პრობლემები და მათი

კომპლექსურად გადაჭრა. ეს უზრუნველყოფს ფერმერთა და მათი ოჯახის წევრთა ადგილზე დასაქმებას, როგორც ფერმაში, ისე ახლად შექმნილ სამუშაო ადგილებზე, სოფლის ხელშეწყობის ბუნებრივი დანდშაფტების შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ, სოფლად მოსახლეობის დასაქმების მიზნით, განსაკუთრებით გაგრძელებულ და ეფექტიან ფორმას კვებისა და გადაამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ქსელის განვითარება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ადგილებში ასეთი საწარმოების განვითარება გამართლებულია როგორც ეკონომიკური (წარმოების მიხედვით გადაამუშავებასთან ან პირიქით), ისე სოფლად არსებული სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით (სახოფლო-სამეურნეო წარმოებაში სეზონურობის გათვალისწინებით). დღეს, სულ უფრო ფართოდ ინტეგრაცია მწვანე ტურიზმში, საცხენოსნო სპორტი და სხვა არახასიფლო-სამეურნეო დასაქმების სახეები, საყურადღებოა ისიც, რომ თანამედროვე ტიპის ჩქაროსნული გზების მშენებლობით სოფლის მოსახლეობის სულ უფრო დიდ ნაწილს უზრუნველყოფს საშუალება აქტიურად ჩაებას ახლომდებარე ქალაქების ან მსხვილი სამრეწველო ობიექტების სამეურნეო ცხოვრებაში.

სახურსათო უშიშროება კრისა და სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ამოცანაა. მთავრობის კომპეტენტურობა და აგრესიურობა პროცესში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე (მარეგულირებლის როლი) გადაამუშავებული ფაქტორია ქვეყნის შიშისმიხედვით გადაარჩენაში.

ახალი პერიოდის



მარკუელირებელი პოლიტიკის განხორციელებით ხელისუფლება (მათრობა) ისწრაფის მიაღწიოს აგროპროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებელთა შემოსავლების იმ დონეს, რაც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების მისაღებ პირობებს და პროდუქციის გაფართოებულ წარმოებას.

აგრარული წარმოების სახელმწიფო რეგულირებას ჰყავს როგორც მოწინააღმდეგენი, ისე მომხრეები. მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტი ის, რომ აგრარული სექტორი ყველა ქვეყანაში წარმოების შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა ერთიანდებოდეს. არგუმენტად მოჰყავთ ისიც, რომ თავისუფალი ვაჭრობა ყველასთვის მომგებიანია, ვინც ჩართულია ხაერთაშორისო ვაჭრობაში. აგროწარმოების სუბსიდირება და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ამდღეობა კი ხაერთაშორისო ვაჭრობის პრინციპებს ამახინჯებს და სურსათზე ფასების გარდაუვალ ზრდას იწვევს (ეს არგუმენტი დაყოფა ხაუფებლად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ურეგულირების რეგულაციის შეთანხმებასაც).

დარგისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის არგუმენტები უფრო დამაჯერებელი, ხამართლიანი და ობიექტურია, რამდენადაც ის ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკურ თავისებურებებს ითვალისწინებს. კერძოდ, დამრკიცებელია, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი ბაზარზე სტიმულს აძლევს აგროპროდუქციის როგორც მიწოდებას, ისე მასზე მოთხოვნას, მაგრამ პირველი უფრო მაღალი ხარისხით სტიმულირდება, ვიდრე მეორე. ფასები აგროპროდუქციაზე (ზოგადად სურსათზე) იზრდება უმნიშვნელოდ, მაშინ როდესაც მისი აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსზე-გაცილებით მეტად. ეს სხვაობა, ბუნებრივია, უფრო მაღალია, თუ ქვეყანაში აგროპროდუქციაზე და მისი აღწარმოებისათვის საჭირო წარმოების საშუალებებსზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დაცვის რაიმე ხამართლებრივი ნორმა არ არსებობს.

აგროპროდუქციაზე ფასების უმნიშვნელო მატებას, ძირითადად განაპირობებს, სურსათის დივერსიფიცირებისა და პროდუქტის სახამარი დარგულების შეზღუდვებმა. ეს, საბოლოოდ, სხვა დარგებში დასაქმებულებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში აყენებს აგროსექტორში დასაქმებულებს. არის სხვა არგუმენტებიც, კერძოდ, როგორც ცნობილია, აგროპროდუქციაზე მოთხოვნა ხასიათდება დაბალი ელასტიკურობით, ადამიანის

მეორე სურსათის მოხმარების უზიოლოგიური შეზღუდვების გამო. მაგალითად, კვლევებს გან პურის მოხმარება, მოთხოვნა არ განაპირობებს მის მიხედვის გამო, თუ რისი ან ხორბლის ფასი ორჯერ შემცირდება, ანუ ეს ცვლილება ურთიერთდაკავებული არ იქნება მაგრამ, ყველაზე რეალური არგუმენტი ის, რომ დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შიმშილობს (საქართველოში ხილარობის დონემ 58%-ს მიაღწია, მოსახლეობის შემოსავლებში სურსათის ხარჯებმა 60-70% შეადგინა) და ამ ვითარებაში არაეტიკური და არაპუმანური იქნება თითოეულმა ქვეყანამ აგროწარმოება (სურსათის წარმოება) მსოფლიო შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის საფუძველზე განაეითაროს. საკურადღებოა ერთი არგუმენტიც, რომელიც აგროწარმოების "ბიოლოგიზაციას" უკავშირდება. კერძოდ, აგროწარმოება გარემოს (ნიადები, ჰაერი, წყალი) ერთ-ერთი მთავარი დამინისმურებელია და დღევანდელი მიდგომით მისი განეითარება საერთოხე უქმნის არამარტო ზუნებას, არამედ სოცოეზმაც. ამიტომ საჭიროა აგროპროდუქციის (განსაკუთრებით ქვეყნის მთიანეთში) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე გადასვლა, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მისი უდიდესი ნაწილი სასოფლოებამ უნდა დაფაროს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში მთავრობის მხრიდან აგროსექტორში არსებითი სახის მხარდაჭერის დონისძიებები არ გატარებულა, თუ მსგეველობაში არ მივიდებთ მეწიეობის, ასევე წითელი ყურძნის წარმოების სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ ეპიზოდურად გაღებულ თანხებს. ხელისუფლებაში გამეფებული იყო და დღესაც არის ასრი იმის შესახებ, რომ ამ სექტორის დარგთაშორის თავისუფალ კონკურენციაში ჩაბმა გარკვეულ დაუნსებულად შეუძლია.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ურთიერთობათა იმ მოდელმა, რომელიც ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად აირჩია (რაც ძირითადად ითვალისწინებდა ფასწარმოქმნის დობურალიზაციას, დარგებისა და დარგთაშორის კავშირების რეგულირების პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებასა და სოციალური გარანტიების შემცირებას), მატერიალური წარმოების არც ერთ დარგში არ განამართლა, მათ შორის აგრარულ წარმოებაშიც (ულტრალიბერალურმა მოდელმა კრახი განიცადა). ამის შესახებ ხელისუფლებას, მარტო ქართველი ეკონომისტები არ აფრთხილებდნენ.

ახალი პერიოდის

მგალითად, კურნალ „სივლის“ 1999 წლის №5-6, ჯერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ხელშეწყობით დოქტორი ეკერპარდ კლემენსი სტატიაში – „წარმოება და კონკურენცია“ – წერდა: „დარის ამერიკულ დოლარზე მიბმამ სტრატეგიულში წარმოებული პროდუქცია, უცხოურ პროდუქციასთან შედარებით უფრო გააძვირა. ქართვლი უფრმერი ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი გახდა, რადგან დაბალხარისხიანი, იაფი პროდუქტებით გაიხსო ქროული ბაზარი. აგრესექტორის დასახმარებლად ხახელმწიფომ არაფერი არ გააკეთა. პირიქით, შემთილო 20%-იანი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღე), რაც ამ მოცულობით, თვით კონკურენტუნარიან დასახელების ხახელმწიფობსაც კი არ გააჩნიათ. დასახელების ქსენები აგრარულ სექტორს როგორც წარმოებას, ისე ექსპორტს მილიარდობით დოლარით ექმარება. ისეთი მთიანი ქვეყნები, როგორიცაა შვეიცარია, ნორვეგია და ავსტრია, ან კიდევ, არახელსაყრელი განლაგების ქვეყნები: ფინეთი, შვედეთი და სხვები, სოფლის მეურნეობას უფრო მტრუბისიძებს უხდიან. ვიდრე ის ქვეყნები, რომელთაც კლიმატურად და გეოგრაფიულად ხელსაყრელი წარმოების პირობები აქვთ. საქართველოს დაწერილდეროელებული სოფლის მეურნეობა ასეთ ვითარებაში, ცხადია, სუბსიდირებულ დასახელო სოფლის მეურნეობას კონკურენტის ვერ გაუწევს. იგი დასაღუპადია განწირული. საქართველოს სოფლის მეურნეობა დაცული უნდა იყოს უცხოური სუბსიდირებულს აგრარული პროდუქციის კონკურენციისაგან, უნდა დაწესდეს დამცავი საბალო ბარიერები და შეწყდეს ისეთი პროდუქტების შემოტანა, რომელიც საქართველოში იწარმოება. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება ხახელმწიფოს მხრიდან დაცვისა და შესაბამისი ეკონომიკური ბაზრის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია.“ სამწუხაროდ ყოველივე ახდა. ქვეყანაში პრაქტიკულად არაფერი კეთდება მიწის წერილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნისა და მათი მარკეტინგული თუ საწარმოო კომპერირებისათვის.


აგრარული წარმოება და სოფლად ყოფაცხობრება ვერ აღორძინდება (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების რეალური დაიკვიდრების გარეშე) და განვითარდება თუ უფრმერები არ იქნებიან უსრუნველყოფილნი საწარმოო და სოციადური ინფრასტრუქტურით, ხელმისაწვდომი ფინანსებით, ბასრებთან კავშირით,

კონკურენტული გარემოთი და საქმიანობისათვის აუცილებელი აგრარული სტრუქტურებთან. პრობლემის დაძლევაში მარკეტინგული როლი, სახელმწიფო მართვის უმაღლესი ბერეკტი–ინსტიტუციონალური რეგულირების პოლიტიკის გამოყენებით ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს.

დღეს საქართველოში ხახეზე გვაქვს ახალდაზრობისაგან დაცლილი, მოხუცების ანაბარა მიტოვებული სოფლები და სამუშაოს თუ დუქიმაპურის შაძიებლებით გადატვირთული დედაქლაქი, ათახობით მქეტარი მიტოვებული და დაუშუშაგებელი მიწა, მაშინ, როდესაც საქართველოში ხორციელდება პრაქტიკულად ვეღლა ხახის სურსათის იმპორტი, მათ შორისაა ისეთი პროდუქტებიც კი, რომლებსაც არც თუ ისე შორეულ წარსულში ხეკუპობრე მოხიციები ეტობი. საგარეო ბაზრებთან ერთად დაკარგულია შიდა ბაზარიც (საყურადღებოა, რომ ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური და ადგილობრივი წარმოების ხასურსათო პროდუქციის შეფარდება 4:1-თანაა, რაც დასაშვებ ზღვარს რამდენჯერმე აღემატება).

ყოველივე ამას „აგვირგინებს“ საგარეო ვაჭრობის უზარმაზარი დეფიციტი, რაც მტკიცლად სურსათის დიდი ოდენობის იმპორტითაა განპირობებული. რაიმე დადებითი ნიშანი იმისა, რომ მდგომარეობა ამ მიმართულებით გამოსწორდება უახლოეს პერიოდში არ შეინიშნება. პირიქით, სტატისტიკის დეპარტამენტის „შეღამაზებული“ მონაცემებითაც კი უკანასკნელ წლებში არხებითად შემცირდა ნათეს–ნარგაობათა ფართობი, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. სხვაგვარად არც შეიძლება, თუ ვაფთავებლისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარტივ წარმოებას (უცვლელი ოდენობით) ერთ მილიარდამდე დარის ღირებულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ესაჭიროება, ფაქტობრივად კი დარგს მისი მესამედოც არ ხმარდება, აღნიშნულს ადასტურებს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიც: კერძოდ, 2006-2007 წლებში ქვეყნის მახშობით ნათეს–ნარგავთა ფართობის ერთ ჰექტარზე საშუალოდ შეიტანეს მხოლოდ, 146კგ. ასოტოკიანი სახუქი, 28კგ. ფოსფოროკანი და 60კგ. კალიუმიანი სახუქი (რაც შესაბამისად საშუალოდ შეადგენს ნორმის 40, 0,4 და 12%-ს). შხამ-ქიმიკატებით და პესტიციდებით არ დამუშავებულა ნათეს–ნარგაობის უდიდესი ნაწილი (დამუშავებულია მხოლოდ 137 ათახი ჰა, ანუ, მიუღი ფართობის მხოლოდ 21%). აგრარული წარმოება არ არის უსრუნველყოფილი სხვა

თეორიული კვლევა



საბრუნავი საშუალებებითაც (კომბინირებული საკვები, საწვავ-საცხები მასალები ა.შ.). აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების სამექტრო მოსავლიანობა კიდევ უფრო შემცირდება. ეს, თავის მხრივ, საგარეო ფაქტორის დეფიციტს კიდევ უფრო გაზრდის, მისგან გამომდინარე ნეგატიური პროცესებით.

სანამ ქვეყანას შეეძლება გარედან შემოსახიდი (იგულისხმება სურსათ-ხანოვანე), ვიდრე გასახიდი, ქვეყანა მონობას თავს ვერ დააღწევს - წერდა დიდი ერის კაცი და განმანათლებელი ნიკო ნიკოლაიძე. ეს სიტყვები, რომელიც მან ას წელზე მეტი ხნის წინათ წარმოიტკა, დღეს ჩვენი ქვეყნის სამწუხარო რეალობაა.

რა უნდა გავკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს მეტი თუ არა, იმდენი მაინც ჰქონდეს გასახიდი, რამდენიც შემოსახიდი? აი კითხვა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს, დარგის სპეციალისტს, თუ ხელისუფლების წარმომადგენელს უნდა აწუხებდეს. ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით, გვინდა კიდევ ერთხელ გაეიხსენოთ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის პრაქტიკა აგროწარმოების რეგულირებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იმიტომ კი არ არის, რომ ჩვენ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსზე გვაქვს პრეტენზია, არამედ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ აგრორეული სექტორისადმი მხარდაჭერის ობიექტურ აუცილებლობაზე, რაც ამ ქვეყანაში ე.წ. "დიდი დეპრესიის" წლებში უმძიმესი კრიზისის დასაძლევად და მისი პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებები გაატარეს. კერძოდ, აქ პირველად დაარსდა სახელმწიფო სტრუქტურა სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციის სახით, რომელიც წარმოებდა აგრძელებს ფუნქციონირებას დღესაც. კორპორაციას ფერმერებისათვის დაწესებული აქვს საგირავნო ფასი და აძლევს მათ უპროცენტო სესხს მომავალი წლის ანგარიშზე (ანუ გირაოში იღებს პროდუქციის მომავალ მოსავალს). იმ შემთხვევაში თუ მოსავლის აღებისას ბაზარზე რეალური ფასი საგირავნო ფასზე მაღალი აღმოჩნდება, ფერმერს უფლება აქვს გაყიდოს მისივე თავის შესუდულებისამებრ და მიღებული ამონაკებთან სესხი დაუბრუნოს სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციას, ხოლო თუ საბაზრო

ფასი ნაკლები იქნება საგირავნო ფასზე, მაშინ ფერმერი მოსავალს აბარებს კორპორაციის (ნატურში). ამ ოპერაციით ბაზარზე პროდუქტის მიოდება იკლებს და ფასიც შესაბამისად აიწეოს, ანუ უბრუნდება პირვანდელ ნიშნულს.

ამრიგად, აშშ-ში აგროპროდუქციის (მარცვლეული, სიახ, ტექნიკური კულტურები) წარმოებას, აქვს რეალური სახელმწიფო მხარდაჭერა. სამომხრებლო ბაზარზე ყალიბდება ქვედა მინიმალური ზღვარი საგირავნო ფასის სახით, რაც პროდუქციის წარმოებისათვის ფერმერს მყარ გარანტიას უქმნის (აქვე შევნიშნათ, რომ საგირავნო ფასი, როგორც წესი, საბაზრო ფასის 85 %-ს შეადგენს).

აშშ-ში პირველად წარმოჩნდა ფასების პარიტეტის პრობლემა, რომლის დასარეგულირებლად (ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და მისი აღწარმოებისათვის საკურო წარმოების საშუალებებზე ფასების პარიტეტის შესანარჩუნებლად) გასული საუკუნის 30-იან წლებში ქვეყნის კონგრესმა მიიღო შესაბამისი კანონი, რომელიც მოქმედებაშია დღესაც. აქ არსებობს ფერმერთა მხარდაჭერის სხვა მრავალი მიმართულება (მიწის ბრუნეიდან ამოღების პრაქტიკა და შესაბამისი კომპენსაციების გაცემა ფერმერებზე, ფერმერთა სტიმულირება ნიადაგდაცვითი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისათვის და ა.შ.), მაგრამ შემოადინშნულიც ნათლად მიუთითებს, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო ფერმერთათვის საჭირო გარანტიების შექმნისათვის (რითაც ჩვენი ხელისუფლება ნამდვილად ვერ დაიკეთხნის). რამდენად სწორია და ეკონომიკურად გამართლებულია ასეთი მიდგომა აგროწარმოებისადმი, ამას ამერიკის სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონეც ადასტურებს.

სახელმწიფო მხარდაჭერის მაღალი დონით ხარგებლობენ ევროკავშირის, კანადის, ავსტრალიის, იაპონიისა და სხვა განვითარებული ქვეყნების აგროპროდუქციის მწარმოებლებიც.

ამდენად, საესეთი კანონზომიერაი ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებშია საექსპორტო სურსათის უდიდესი ნაწილი, ანუ მათზეა მეტწილად დამოკიდებული სხვა დანარჩენი ქვეყნების სასურსათო უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა რიცხვშია საქართველოც, სადაც მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 0.4-ია, ხოლო ქვეყანაში საერთოდ მოხმარებული სურსათის დირებულებაში მოხმარებული საკუთარი წარმოების სურსათის

ახალი ამონომიტი

დირექტორების წილი მხოლოდ 42%-ს შეადგენს. ეს იმ ქვეყანაში, სადაც მიწათმოქმედების უდიდესი კულტურა და ტრადიციები არსებობს.

ფიქტობ, შექმნილი მდგომარეობიდან სწორი გამოსავლის მოძებნის მიზნით, პირველყოფილსა, კარგად შესასწავლი და გასაანალიზებელია ის ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზები, რამაც ქვეყნის აგრარულ სექტორს მისი ძირითადი ფუნქცია დააკარგვინა.

დაიწყოთ იქიდან, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს მსოფლიოს მიწინავე ქვეყნების პრაქტიკისა და გამოცდილების გამოყენების წინებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ინდიკატორი დაგეგმვის საფუძვლების შესახებ", რომლითაც ეკონომიკის სამინისტროს დაეკავდა შემუშავებინა ყოველწლიურად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორი გეგმა, ხოლო ყოველ ხუთ წელიწადში ერთი ხუთწლიანი გეგმა. აქვე შეგინიშნა, რომ აღნიშნული გეგმა, სახელწოდებით მუდრეობის განვითარების აღრიცხვითი გეგმებისაგან განსხვავებით, არ ატარებდა დამატებით ხასიათს. ის მხოლოდ ეკონომიკური ინდიკატორების საშუალებით საზღვრავდა დარგობრივ პრიორიტეტებს და, მათი უპირატესი განვითარების მიზნით, ძველი რეკომენდაციებს იმ ეკონომიკური, ფინანსური, თუ საკანონმდებლო დონის სივრცის შესახებ, რაც უნდა გატარებულიყო საქართველოში მოკლე და საშუალო ვადიანი პერიოდში. ინდიკატორი გეგმა იყო პირველი სერიოზული ეკონომიკური ინსტრუმენტი ხელისუფლების ხელში ეროვნული მუდრეობის ეკონომიკის რეგულირებისა და პრიორიტეტული დარგების, თუ სფეროების განვითარებისათვის. ამ მიზნით გეგმა შეიცავდა წინასწარ შემუშავებულ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, რომელთა დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ხსენებული პროგრამების დიდი ნაწილი აგრარულ სექტორზე მოდიოდა, რაც ამ დარგის პრიორიტეტულობას უსვამდა ხაზს. ინდიკატორი გეგმა მოლიანობაში იყო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა (მათ შორის აგრარული) და ამ პოლიტიკის მოკლე და გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმი.

2003 წლიდან შეწყდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორი გეგმების დამუშავება, იხე რომ, საქართველოს კანონი - "ინდიკატორი დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" არ იყო გაუქმებული. ბუნებრივია, ქვეყანაში შეჩერდა პრიორიტეტების განსაზღვრის, მათი რეალიზაციისათვის საჭირო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავების პრაქტიკა

და სოფლად აგრომეწარმე ბედის ანაბარა დარჩა რატომ, ან, რა მოტივით დასჭირდა ხელისუფლებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებული და საქართველოში უკვე კულტივირებული ინდიკატორი დაგეგმვის პრაქტიკის გაუქმება, ეს კითხვა (ისევე როგორც სხვა მრავალი) დღემდე პასუხგაუცემელი რჩება. ასე მაგალითად: 2004 წელს გაუქმდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ადგილობრივი (რაიონული) ორგანოები. ამავე წლიდან შეწყდა საქართველოს ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის - მიწის (მიწა ერის განსაკუთრებული ინტერესის საგანია, იგი ერისათვის სახელმწიფო ტერიტორიაა, სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცე, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას) ერთიანი ბაღანის (ანუ, მიწის აღრიცხვის და კონტროლის) დამუშავების პრაქტიკა. დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საქართველოში მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები (სასოფლო-სამეურნეო საფარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა საფარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო), რა საზღვრებში რჩება საქართველო (ოთხი მოსაზღვრე ქვეყნიდან სამთან დღემდე არ ვაკვს დადგენილი სახელმწიფო საზღვარი) და მისი ცალკეული მხარეები და რაიონები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენობა წაიგდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, როგორ სრულდება კანონი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწის სანაცვლოდ ახალი მიწების ასათვისებლად საჭირო თანხების გადახდის შესახებ და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველია საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. დღეს უცნობია რა ცვლილებები მოხდა მიწათსარგებლობაში 2005 წლიდან განვლილ პერიოდში, როგორ გამოიყენება მიწის სავარგულეები, აქედან, რამდენია დაქვემდებარებული ქარისმიერ, თუ წყლისმიერ ეროზიას, რა უნდა გაკეთდეს მიწის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, რატომ, ან რა მოტივით, გააუქმა ხელისუფლებამ მიწის მართვის სამსახური და

საქართველო



ახალი პარტიისთვის

მიწის ბაღანის შედგენის ყოველწლიური პრაქტიკა ეს კითხვები დღემდე პასუხაუცემალია. ამივე კონტექსტში განსახილველი სოფლის მეურნეობის სამინისტროს უწყების საკითხი-კერძოდ, რით არის დღეს დაკავებული ეს სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც წესით და რიგით საქართველოში აგროწარმოების განვითარების საკითხებს უნდა ავგარბედეს. რა პოლიტიკას ატარებს ეს უწყება სოფლის მეურნეობაში? არანაირს. საქართველოში 1997-2002 წლების სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების ერთნული სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ, რაიმე დოკუმენტი არ მიღებულა. ქვეყანაში რაციონალური აგრარული პოლიტიკა რომ გატარდეს, აუცილებელია არსებობდეს ასეთი დოკუმენტი. ცნობილი იყოს სოფელად საქონელმწარმოებელთა პრობლემები და დროული რეაგირება ხდებოდეს მათ დახმავებად. თუ ასეთი ინფორმაციის მიღებას სამინისტრო ცოტა ხნის წინ თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით ახერხებდა, დღეს ასეთი რეაგირება აღარ არსებობს, უბრალოდ გაუქმებულია. ასეთ ვითარებაში სამინისტროს ინტერესი და დიდძალი სახსრებიც რომ გააჩნდეს, მინც ეერ გაატარებს სოფელად საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერ პოლიტიკას, რატომ, ან, რა მოტივით გააუქმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებული სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები დღემდე პასუხაუცემალია (არ დაფუძნებულა, მსოფლიოში არსობიერებული, ფერმერთა ერთნული კავშირები, სოფლისა და რაიონის დონეზე). ცნობილია მხოლოდ ის, რომ ავად თუ კარგად აწეობილი დარგის მართვის სისტემის დაუსახბუებელმა რღვევამ, ქვეყნის აგროწარმოება კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა. აუცილებელია აგრომწარმოებთან და აგრარულ მეცნიერებასთან გაწვეტილი კავშირის აღდგენა.

დასასრულ, ქვეყანაში არსებობს 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც ხელისუფლებას მიერ დეკლარირებულია სოფლის მეურნეობისადმი აქტიური მხარდაჭერა და გამოყოფილია პრიორიტეტული დარგები და კულტურები, განსახლდრულია მისი რეალიზაციის გზები და საშუალებები; თუმცა, რეალურად ამ მიმართულებით დღემდე არაფერია გაკეთებული. მას შემდეგ თორმეტ წელზე მეტი გავიდა და ბუნებრივია, მასში ბევრი კორექტივის შეტანაა

აუცილებელი, აგრარულ სექტორში შექმნილი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით. უნდა შეიმუშაოს ახალი, დროისა და ვითარების ადეკვატური აგრარული პოლიტიკა (სწორად განსახლდრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, - სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების - პოლიტიკა იგულისხმება, ანუ შეახამოს ერთმანეთთან აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა, თუ არა მთავრობამ (შეხაბამისი სამინისტროების, უწყებების, დარგის ცნობილი მეცნიერების, ექსპერტების და საციალისტების მონაწილეობით), მაგრამ ასეთი სურვილი, რატომცა, ხელისუფლებას არ აქვს. მეტიც, საქართველოს, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას, შეუძლია გაატაროს არა მხოლოდ ადგილობრივი აგროწარმოების განვითარების, არამედ სამომხმარებლო ბაზრის დაცვის რიგი ღონისძიებები. მათ ჩამონათვალშია: 1. დამცავი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება სწრაფად მხარდი იმპორტის შესლედვის მიმართ, თუ ის ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს, ან ქმნის ასეთი ზარალის მიყენების რეალურ საშიშროებას (დამცავი ღონისძიებები აისახება კონკრეტული პროდუქციის სახეობაზე საბაჟო ტარიფის ზრდაში ან/და საიმპორტო ქვოტის დაწესებაში); 2. ანტიდემპინგური გადასახადი, რომელიც გამოიყენება დემპინგური, ანუ ისეთი იმპორტის მიმართ, რომელიც იყიდება თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში, ან/და რომლის საქმნორტო ფასი უფრო დაბალია, ვიდრე იგივე პროდუქციის ექსპორტორთა ქვეყნის ადგილობრივ ბაზარზე დაწესებული ფასი (ასეთი გადასახადი გამოიყენება საბაჟო გადასახადთან ერთად დამატებითი გადასახადის დაწესების გზით 0-30 % ფარგლებში); 3. სუბსიური ფასები და სხვა.

ბაზრის დამცავი მექანიზმებიდან საქართველოში არც ერთი არაა ამოქმედებული, პირიქით, საუბრობა სურსათის იმპორტზე არსებული საბაჟო გადასახადების განულებაზე, რაც, საბოლოოდ დააკინებს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორს და სხვა ქვეყნებზე სასურსათო დამოკიდებულების დონე და ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის კონომიკური ანალიზი ვგვიჩვენებს, რომ შექმნილ პრობლემათა გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მხოლოდ აგრარული სექტორის ფარგლებში,

რადგანაც იგი მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას და განხორციელებას. კერძოდ, საჭიროა შეიქმნას აგრულწარმოების განვითარების მყარი საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც სახტარტო საფუძველი ძირითადად სახელმწიფომ უნდა ჩაუყაროს. ამასთან, უნდა მოხდეს სოფლად საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური მოტივაციის ამაღლება საფინანსო, საკრედიტო, სადაზღვეო და სხვა ზერკეტების გონივრული გამოყენებით.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად ინტეგრირებულ თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს საერთო თამაშის წესებით ითამაშოს, რადგან სხვაგვარად რაიმე არსებითი წარმატების მიღწევა შეუძლებელია. აგრარული სექტორი საქართველოში ისევე საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი როლის შესრულებას, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხორციელდება.

AGROFORMATION AND REGULATIVE ROLE OF THE STATE

PAATA KOGUASHVILI

Professor, Doctor for Science of Economics

Member of Georgian Agriculture Science Academy

In the article "Agroformation and Regulative Role of the State" there is described economical parsing of economical crisis in Georgiana griculutre. There is shown that these problems can't be solved only by agrarian sector, because they require complex action systems. It is important to create solid production and non-production infrastructure of farming, and the fundament should be created by the state. Moreover, economical motivation of cattle producers should become higher by the wisely use of finances, credits and other levers.

In the world coalescent by the means of economic and politics every counrty tries to play with the rules of the general game, as well as in the other case it is impossible to make any kind of progress. Agrarian sector in Georgia needs as strong regulation by the state, as it is realized in many countries of the world intergation conditon frames.

აბალო ეკონომისტი



შოთა ვაშაბაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ბიზნესის განვითარების ფაქტორების კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია მისი გლობალიზაციაა. ამჟამად ყველა ქვეყანა გადადის ერთი ისტორიული ეტაპიდან – საკუთარი ეროვნული ეკონომიკის ინტერესების აბსოლუტიზაციიდან, მხორე ეტაპზე – გლობალურ ეკონომიკაზე. ერთი მხრივ, ვითარდება საბაზრო ანარქიის პროცესები, რომელიც უპირველესად ეხება სავალუტო-საფინანსო სისტემას, ხოლო, მხორე მხრივ, ძლიერდება ოლიგარქიული ტენდენციები. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მრავალეროვნული, ტრანსეროვნული კომპანიების და სამრეწველო-საფინანსო ჯგუფების შექმნა. საწარმოების სწრაფი წარმოების ექსპანსიონიზაცია, მისი გამანაწილებელი ქსელის მუდმივი განახლება და გაფართოება გააუფლებელი მთიხონა გახდა. ამჟამად დროს, გლობალიზაციის პროცესს თან სდევს მსოფლიო მასშტაბით ეროვნულ-კულტურულ დიფერენციალთა პროორტიკების ხელახალი განაწილება და მთელ რიგ ჩვეულებათა და რწმენათა გადასინჯვა ბიზნესის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების დასახიოებისას უნდა განვიხილოთ მისი ისეთი ორიენტაციები, როგორცაა: ბაზრების გლობალიზაცია და კომპანიათა ახალი სტრატეგია; საერთაშორისო ბიზნესში საწარმოთა მონაწილეობის ზრდა, წარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი ფაქტორები და მისი ევოლუცია. წარმოების ინტერნაციონალიზაციის ევოლუცია და ა.შ.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის საერთო ტენდენციებს გააჩნია კიდევ ერთი თავისებურება. ესაა ორი პროცესის – ბაზრების გლობალიზაციის და რეგიონალური ეკონომიკური წარმონაქმნების – ნამოყალიბება. ისინი რთულ ურთიერთგავლენას და ურთიერთქმედებას განიცდის. ეს ტენდენციები ეურადსაღებია და გასათვალისწინებელი ბიზნესის წარმოების დროს.

ახალი მკითხველი

ტენდენცია გლობალიზაციისადმი სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. იწყება ახალი ეტაპი, რომელიც განაპირობებს ერთიანი გლობალური ბაზრის შექმნას. გლობალიზაცია ეკონომიკური სფეროს ყველა სექტორს მოიცავს: მეცნიერულ კვლევას, მრეწველობას, მომსახურების სფეროს, ფინანსებს. გლობალიზაციის დაქტრებას განსაკუთრებით ხელს უწყობს ტექნიკური ფაქტორები, რომელთაც წინ სწევს მზარდი მრავალეროვნული და ტრანსეროვნული კომპანიები.

მსოფლიო ბაზრის მდგომარეობაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა დონის ფაქტორები, როგორებიცაა:

1. მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლა, მრავალი ახალი სახელმწიფოს შექმნა, რომელთაც ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი პოლიტიკური, ეროვნული და კულტურული ინტერესები;
 2. პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი აღმოსავლეთ ევროპასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, რომელიც გადაიზარდა ზოგიერთი რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისში (იუგოსლავია, რუსეთი და სხვ.);
 3. ტექნოლოგიური რევოლუცია;
 4. ენერჯონედლეულის და საწარმოო პრობლემების გამწვავება;
 5. მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო სისტემის კრიზისი;
 6. გარემოს ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება;
 7. ეროვნულ მეურნეობათა ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერება.
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია მიმდინარეობს იმდრო, რომ იგი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის შემაღგენელი ნაწილია. ეს საქმიანობა მთლიანობაში ახასიათებს ეროვნული მეურნეობის ჩართვის დონეზე მსოფლიო ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკათა ურთიერთდაზოკდებულებას და არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად აღვიქვათ როგორც ნეგატიური მოვლენა, რომელიც ღიააგვს ერთი მხარის უფლებებს.

ნებისმიერი კომპანია ცვლის გლობალური და ლოკალური სტრატეგიის თანაფარდობას პროდუქციის სახეობის, მიზნების, ქვეყნის და ა.შ. კვალობაზე. ამავდროულად გლობალური სტრატეგია უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რათა, ერთი მხრივ, რეაგირება მოახდინოს ახალ შესაძლებლობებზე, ხოლო, მეორე მხრივ, უარი თქვას ნაკლებად მომგებიან სახეობათა წარმოებაზე. ადრეულ ეტაპებზე კომპანიას არ ყოფნის გამოცდილება, შეიმუშავოს უცხოური ბაზრების ათვისების ოპტიმალური სტრატეგია. იგი უპრალოდ რეაგირებს გამოვლენილ შესაძლებლობებზე. გამოცდილების შექმნის კვალობაზე ხდება, რომ ყველა გამოვლენილი შესაძლებლობისათვის რეზერვები არ ყოფნის. მაგალითად, კომპანია "ფორდმა" აქციონერთა პირველ კრებაზე განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანია საზღვარგარეთის ექსპანსია. იმ დროს კომპანიის საერთაშორისო მარკეტინგი არ ეფუძნებოდა მსოფლიოს სკრუპულოზურ გამოკვლევას. იგი მოქმედებდა პრინციპით: გამოინდა შესაძლებლობა – გამოიყენე ის. მხოლოდ 1977 წელს შექმნა კომპანიამ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის ანალიზის განყოფილება. 90-იანი წლების შუახანებში კი მიზნად დაისახა გამხდარიყო გლობალური ავტომშენებელი კორპორაცია, რომელიც მზად იყო დაეგერია უროვნული და რეგიონალური ბარიერები, ხელს რომ უშლიდა მსოფლიო ბაზარზე გასვლაში.

ამრიგად, კომპანია მხოლოდ მაშინ შექმნებს გლობალურ ბიზნესში ჩართვას, თუ გათვალისწინებს მსოფლიო ბაზრებზე ქცევის შემდეგ მოსახერხებს:

- უნდა მქონდეს ბაზრების და კონკურენციის შესახებ გლობალური ხედვა (აუცილებელია მოახდინოს სწრაფი რეაგირება საზღვარგარეთ წარმოების და გასაღების ცვლილებებზე);
- საჭიროა კარგად იცნობდეს თავის კონკურენტებს (გლობალურ ბაზრებს აქვს ოლიგარქიულ-პოლიტიკური სტრუქტურა და მათი მონაწილეების რიცხვი მცირეა);
- უნდა აინტროდუცდეს თავის ოპერაციებს მსოფლიოს ან ე.წ. სამუდამის (ა.შ.შ. ეკ და იაპონია) მასშტაბით მისიც;

• ისე უნდა იქცოდეს როგორც "გლობალური მოთამაშე", ე.ი. როგორც კი წარმოიქმნება მისი ბაზრიდან გაძევების საფრთხე, მაშინვე შეცვლის მუშაობის წესი;

• უნდა განათავსოს წარმოება იქ, სადაც იგი ყველაზე რენტაბელური იქნება.

ამგვარი გლობალური სტრატეგიის თვალსაზიროთა მაგალითია "ფორდ ესპორტის" მკომპლექტებული ნაწილების და თავად ამ ავტომობილის დამზადების გლობალური ქსელი. როგორც საერთაშორისო ბიზნესის ცნობილი მკვლევარები დენიელსი და რადება გადმოგვცემენ, ფორდ-ესპორტის ნაწილები იწარმოება დიდ ბრიტანეთში (კარბურატორი, სარკველის მხრეული, გადაამბის ქოშო, ანთების სისტემა და ა.შ.), აშშ-ში (თვლების საზავრი ქანები, მიდრადიკური მუშტა, მინა და სხვ.), ესპანეთში (ელექტროგაყვანილობა, რადიატორის შლანგები და სხვ.), იაპონიაში (სტარტერი, სინქრონული გენერატორი, კონუსური და გორგოლაკოვანი საკისარი), შვედეთში (ცილინდრების თავების ჭანჭიკები, გამომშვებნი კოლექტორის დამაგალი მისები), გარმანიაში (საკეტები, ღვეშები, გამობოლქვის სისტემა, ანთების სისტემა და სხვ.), საფრანგეთში (სინქრონული გენერატორი, ცილინდრებიუს თავი, მთავარი ცილინდრი, საჭის თვლის ლილვი და სახსარი და სხვ.), პოლანდიაში (ხალტეები, ხაღებები, დიოთონის ნაწარმი), დანიაში (გენერატორის ღვედი), ბელგიაში (ხალტეები, მიდეები, ხაერარდის ბალიშები, მუხრუტები, შიდა გაწყობა), ნორვეგიაში (მიდეები, გამონაბოლქვის სისტემა, ხალტეები), კანადაში (მინა, რადიომიმდეები), ავსტრალიაში (ხალტეები, რადიატორის და გამათბობლის შლანგები), შვეიცარიაში (მარის ღვედის შეღებვა, სპიდომეტრი, კბილათელები) და იტალიაში (ცილინდრების თვლები, ღამპის მინები), ავტომობილებს აწყობენ ინგლისსა (მეილეუდში) და გერმანიაში (საარლუსში).

საერთაშორისო მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს მრავალმხრივ აზროვნებას. საზოგადოდ ფირმა ახორციელებს პრინციპს: იაზროვნე "გლობალურად", იმთქმედ "ლოკალურად". მაგალითად, ყურადღებას აპყრობენ სპეციფიკური მოთხოვნილების მქონე მომხმარებელთა სემპენებს ბაზრის მთელ გეოგრაფიულ სფერაზე (თუ სიერცხეზე). ასემა მიდგომა ფირმას შეუძლია მოუგანოს მასშტაბური ეკონომია.

ამ თვალსაზრისით აზროვნების გლობალურობა ძირითადად საქონლის კონცეფციის განწყობენება და საგაღებულო არაა

საბლემი



ესეობად მარკეტინგის სხვა ინსტრუმენტებს – კომუნიკაციებს, ფასს და გასაღებას, რომლებიც ადგილობრივი პირობების მიმართ ინდივიდუალურ ადაპტაციას იწარმოებენ. ამის მაგალითია ფირმა „მაიკროსოფტის“ პოპულარული პროდუქტები (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი და სხვ.). ისინი ბევრ ეროვნულ ვერსიაში არსებობს.

საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სწრაფი განვითარება აისხნება მრავალი მიზეზით, რომელთაგან ძირითადია:

- სწრაფვა საბოლოო მოგების გაზრდისაკენ;
- საწარმოო ძალების სრულყოფა და მოდერნიზაცია;
- სწრაფვა ეიწრო, საშინაო ბაზრის ფარგლებიდან გამოსვლისათვის;
- ეროვნული ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ნაკლებობის დაძლევის შესაძლებლობა;
- თანამედროვე ეფექტიანი ტექნოლოგიების შევნობა და დანერგვა;
- სამრეწველო პროდუქციის საარსებო ციკლის გადიდების მოთხოვნილება;
- შესაძლებლობა, უცხოელი პარტნიორის დახმარებით გაინაწილონ რისკები და ხარჯები ახალი საწარმოების ორგანიზაციისათვის.

საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ფორმების და შინაარსის ევოლუციას შეიძლება თვალი გავაღვეწოთ პირველი საერთაშორისო კომპანიების წინამორბედთა ფუნქციონირებიდან მოყოლებული. ეს კომპანიები ძირითადად ერთდარჯიანი იყო. მათ უშუქნას ხელი შეუწყო ძირითადი საერთაშორისო მეწარმეობის ფორმიდან კაპიტალის ექსპორტზე გადასვლამ.

XX საუკუნის 90-იანი წლებისთვის მნიშვნელოვნად გააქტიურდა საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. ამას ადასტურებს 80-იან წლებში მსოფლიოში ინდუსტრიის განვითარების დინამიკისთან შედარებით საგარეო ვაჭრობის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პეუ-ების) უპირატესი ზრდის საშუალოწლიური ტემპის მაჩვენებლები (%-ებში): პუი – 29,9; მსოფლიო ექსპორტი – 9,4; მსოფლიო მოდელი საგაღებო პროდუქტი – 7,8 (პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდა).

დღეისათვის საერთაშორისო ბიზნესში საწარმოთა მონაწილეობის მზარდი პროცენტის მთავარი მიმომრავლებელი ძალებია შემდეგი ფაქტორები:

1. ეროვნული ბუნებრივი რესურსების დეფიციტი ან მათი მოპოვების საბო-გეოლოგიური პირობების გაუარესება;

2. გამწვავებული კონკურენცია ეროვნულ ბაზარზე, რომელიც ერთგვაროვანი პროდუქციით გაჯერების გამო „დუნდება“;

3. შესაძლებლობა, შეამცირონ წარმოების და გასაღების ხარჯები მიმღები ქვეყნის უფრო იაფ მუშახელითა და „ადამიანური კაპიტალის“ მოზიდვით. ასევე უცხოური კაპიტალის ტექნოლოგიის და საწარმოთა მართვის გამოცდილების მეშვეობით;

4. საკუთარი საქსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით დამატებით გზების გამოვლენა მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამწვავებისას;

5. ეროვნულ სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების – გადასახადების, ბუნების დაცვის ღონისძიებათა დანახარჯების შემცირება გარემოს დაცვის ნორმების შესაბამისად;

6. სახელმწიფო რეგულირების შედეგად მიღებ ქვეყანაში საწარმოთა დანაკარგების შემცირებისთვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობათა გამოყენება;

7. მზარდი გაურკვევლობა საქონლის გრძელვადიან მოთხოვნაზე, ახეუ სხვა მრავალ რისკი, რომლებიც მეწარმეებს საქმიანობის გეოგრაფიული დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს;

8. შესაძლებლობა, გამოიყენონ უცხოური ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა და საგაღებო რესურსები.

90-იან წლებში საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას ხელს უწყობს მეორეული ფაქტორებიც: ინფორმაციის მსოფლიო ნაკადი ეკონომიკის ყველა დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესახებ, ურთიერთობის განმტკიცება საზღვარგარეთელ მომხმარებელთან, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების მოქნილობა და ადაპტირებულობა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკებთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე საერთაშორისო კორპორაციებიც კი ვერ შენარჩუნებდა თავიანთ უპირატესობას კონკურენტუნარიან გარემოში.

